ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 13 სექტემბერი, 2011 №217 (5597) ფასი: 30 თეთრი

## სააკაშვილმა ყვარელში ვენახი იყიდა

გვ.6



# გაძვირდება თუ არა „მარშრუტკები“

გვ.4



## გუბაზ სანიკიძე: „ეროვნული მოძრაობის ახალ ტალღას ვიწყებთ!“

გვ.2

27 სექტემბერს ქართველთა მარში მოეწყობა



## მოვუწოდებთ ამერიკის ელჩს, ობიექტურად შეადგინოს პარტიების რეიტინგები

გვ.3

## საფრანგეთში ატომურ ელექტროსადგურზე აფეთქება მოხდა

გვ.2

## ოპოზიციის ნაწილი „ქართველთა მარშს“ არ შეუერთდება

გვ.2

### თამარ ჩხეიძე: „საქართველოში კონსტრუქციული ოპოზიცია არ არსებობს“

გვ.7





### ბალათურიას შაშკინის გადაწყვეტილება მოეწონა

გვ.6

### შეიძლება სტრატეგიული ობიექტები დავკარგოთ

გვ.6





### პარლამენტი ვენეციის კომისიის დასკვნას ელის

გვ.7

### კახა კუკავა ოქტომბრიდან საპროტესტო აქციებს იწყებს



გვ.3

## ლეიბორისტები პარლამენტის სხდომებს კვლავ არ დაესწრებიან

გვ.7

### ვინ ვინ არის

გვ.6



## თბილისში სარკოზის დასახვედრად ემზადებიან



გვ.5

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**5** რუსეთის ციხიდან ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი გაიქცა

**2** ქეთი დოლიძეს ბინას ართმევენ

**3** თელავის ქუჩებში სიარული სახიფათო გახდა

**4** სიძის ცრუ დასმენისთვის სიდედრს პირობითი სასჯელი შეეფარდა

# გუბაზ სანიკიძე: „ეროვნული მოძრაობის ახალ ტალღას ვიწყებთ!“

**ნათია ხურცილავა**

გუბაზ სანიკიძემ ეროვნული ფორუმის ინიციატივა გაახმოვანა. ეროვნული ფორუმი 27 სექტემბესრ ქართული მარშისთვის იწყებს მზადებას. ერთდღიანი მარში გააერთიანებს იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი აქვს, ეროვნული მოძრაობის მეორე ეტაპი დაიწყოს საქართველოში.

ეროვნული ფორუმი 27 სექტემბერს გამართულ ქართულ მარშს ერთგვარი ტესტის სტატუსსაც ანიჭებს.

სანიკიძის განცხადებით ამ იდეის ავტორი ეროვნული ფორუმია და ის შემუშავებული არ არის არც ერთ ოპოზიციურ პარტიასთან თუ სამოქალაქო სექტორთან. მიუხედავად ამისა ეროვნული ფორუმის ერთ-ეთრი ლიდერი უკვე ელოდება საზოგადოების თუ ოპოზიციის სხვა ლიდერების გამოხმაურებას.

რაც შეეხება ოპოზიციურ „ექვსიანს“, იყო თუ არა იქ განხილული აღნიშნული ინიციატივა, სანიკიძე აცხადებს, რომ ამაზე საუბარი „ექვსიანში“ არ ყოფილა.

გუბაზ სანიკიძე არც იმას გამორიცხავს, რომ მათ იდეას და ინიციატივას შეიძლება ბევრი პოლიტიკური პარტია არ ეთანხმებოდეს, მაგრამ ეს მათი გზაა.

— 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, დიდი ქართული კატასტროფის დღეს მოეწყოს ქართველთა მარში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა. მარშრუტის შესახებ მოგვიანებით გახდება ცნობილი. თუ ამ ქვეყანაში ყველას აქვს უფლება, მაშინ მოვალეობაც უნდა ჰქონდეს. უნდა გაქრეს უსახური ნაციონალური და უნდა მოვიდეს ეროვნული. — განაცხადა სანიკიძემ.

ეროვნული ფორუმი ეროვნული მოძრაობის მეორე ტალღას აანონსებს.

— საქართველოში ეროვნული მოძრაობის მეორე ეტაპი უნდა დაიწყოს. ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ქართველ ხალხს, რომ ეროვნული მოძრაობის მეორე სტადია დავიწყოთ, რომლის ამოცანაც სამართიანი ქვეყნის აღმშენებლობა უნდა იყოს. აუცილებელია, ქართველმა ხალხმა დააფიქსიროს თავისი უკმაყოფილება, განრისხება ამ ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაც ქმედებების დაწყება სჭირდება. — ამბობს სანიკიძე.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ დემოკრატიისა და სამართლიანობისთვის ბრძოლა „ექვსიანის“ ექსკლუზიური უფლება არ არის.

— ბრძოლა დემოკრატიისთვის, სამართლიანობისთვის უნდა იქცეს დიდ სამოქალაქო და საზოგადოებრივ მოძრაობად. ეს არის ჩვენი პოზიცია, რომელსაც ყოველთვის ვაფიქსირებდით.

გუბაზ სანიკიძემ ასევე ისაუბრა ე.წ. რეგიონალური ენების სტატუსის შესაძლო შემოღებაზე, რომელიც იმ რეგიონებში დამკვიდრდება, სადაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ.

— ქვეყნის გარშემო ვითარება ყოველდღიურად მძიმდება. ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი


გუბაზ სანიკიძე

**2§ სექტემბერს ქართველთა მარში მოეწყობა**

ნულოვან ნიშნულზე არის დასული. ვგულისხმობ როგორც საშინაო, ასე საგარეო საფრთხეებს. გარდა თურქეთის რესპულიკისა, საზღვრები დადგენილი არ გვაქვს არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან. ასევე მიგვაჩნია, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში არის სახელმწიფო ენის მდგომარეობა, კერძოდ, ქართული ენის მდგომარეობა. ბოლო დროს გახშირდა განცხადებები, რომ საქართველოში რეგიონული ენების სტატუსი უნდა ამოქმედდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ქართულ ენასთან ერთად უნდა რეგიონალური ენის სტატუსი უნდა მიიღოს სხვა ენამ, კერძოდ დიასპორების ენებმა. არ არსებობს არაქართული მოსახლეობით დაასხლებულ რეგიონებში ქართული ენის შესწავლის საკითხთან დაკავშირებით. ისმის განცხადებები, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ვერ სწავლობენ ქართულ ენას. — განაცხადა სანიკიძემ.

გუბაზ სანიკიძის განცხადებით, სახელმწიფოს არ აქვს განსაზღვრული პოლიტიკა სახელმწიფო ენის სტატუსთან დაკვაშირებით. მისვე თქმით, საქართვულოში მეორე სახელმწიფო ენად ინგლისური ენა უნდა გამოცხადდეს. ამის მაგალითად მან პრეზიდენტის განცხადებები მოიყვანა.

— საქართველოში ქართული ენა დამცრობილია, შეურაცხყოფილი. დაჩქარებული ვესტერნიზაციით, ანგლიკანიზაციის მიხედვით დღეს საქართველოში ხდება ინგლისური ენის ფაქტიურად მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადება. პრეზიდენტი და სხვა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სახელმწიფო სამსახურში არ მიიღება ის პირი, რომელსაც ინგლისუფრი ენა არ ეცოდინება. ეს ნიშნავს ინგლისური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას, — ამბობს ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი.

მეორე საკითხი, რაზეც ყურადღებას ამახვილებს ეროვნული ფორუმი, ქონების საკითხია.

— ვინ ფლობს საქართველოში ქონებას, უმეტესწილად ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოკვებილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ხშირია ფაქტები, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები საზღვარგარეთ ქმნიან ერთდღიან კომპანიებს, იკანონებენ ეროვნულ ქონებას. ჩვენ არ ვფლობთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენ არ ვართ ჩვენი ქვეყნის მესაკუთრენი. ჩვენ, ქართველი ხალხი არ ვართ მასპინძელი საკუთარ ქვეყანაში. სტუმრებიც კი არ ვართ, ჩვენ ვართ მდგმურები, გასახლებისთვის გამზადებულები. — ამბობს სანიკიძე.

გუბაზ სანიკიძემ ქართულ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებიც შეაფასა. როგორც ის ამბობს, ოპოზიციაში საკმაოდ მძიმე ვითარებაა.

— ჭორ-მართალში გაურკვეველი ოპოზიციაა, ერთმანეთზე მოკიდებული ქართული ოპოზიცია, ავტორიტეტდაკარგული ქართული ოპოზიცია. მათ შორის ჩვენც ვთვლით ჩვენს თავს, არავიზსე უკეთესები არ ვართ, მაგრამ არავისზე ნაკლებებიც არ ვართ. ეს არის ხელისუფლების მიერ ინსპირირებული მდგომარეობა. სამწუხაროდ, ოპოზიციის დიდი ნაწილი აყოლილია ამას. — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

ეროვნული ფორუმი, როგორც გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, მშვიდობიანი, მაგრამ ძალიან აქტიური ქმედებებისთვის იწყებს მზადებას.

## საფრანგეთში ატომურ ელექტროსადგურზე აფეთქება მოხდა

საფრანგეთში მარკულის ატომურ ელექტროსადგურზე აფეთქება მოხდა, რის შედეგა-



დაც ერთი ადამიანი დაიღუპა და სამი დაშავდა.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, აფეთქება ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ფრანგულ ობიექტზე მოხდა, სადაც ატომური ნარჩენები იყო განთავსებული.

საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენლის განცხადებით, საფრანგეთის ატომური ელექტროსადგურის გადამამუშავებელ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად, რადიაციის გავრცელების საფრთხე არ არსებობს.

— ამ დროისათვის არავითარი გარე ამომფრქვევა არ მომხდარა, — აღნიშნა მან.

**მედიანიუსი**

## მესტიაში დღეს იუსტიციის სახლი გაიხსნება

ბათუმისა და რუსთავის შემდეგ, დღეს იუსტიციის სახლი მესტიაში გაიხსნება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, საზეიმო ღონისძიებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აგრეთვე — საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, მესტიის მცხოვრებლები დაესწრებიან.

ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ კონცერტი გაიმართება, რომელსაც ფოიერვერკი დაასრულებს.

იუსტიციის სამინისტროს განმარტებით, ახალი ქართული ბრენდი - იუსტიციის სახლი არის იუსტიციის სამინისტროს სერვისების სრულიად ახალი კონცეფციის მქონე საჯარო დაწესებულება, სადაც სამოქალაქო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნოტარიუსთა პალატის, საკანონმდებლო მაცნეს სერვისები იდეურად და სისტემურად არის გაერთიანული. მყუდრო, სასიამოვნო და კომფორტული გარემო, მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური და კეთილგანწყობილი პერსონალი მომხმარებელთა თავაზიან, სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას უზრუნველყოფს.

იუსტიციის სახლები უკვე ფუნქციონირებს ბათუმსა და რუსთავში, მესტიის შემდეგ კი, მიმდინარე წელს, ის საქართველოს კიდევ ერთ ქალაქში — ქუთაისში გაიხსნება.

**ინტერპრესნიუსი**

## ქეთი დოლიძეს ბინას ართმევენ

რეჟისორი ქეთი დოლიძე მის საკუთრებაში არსებული ბინის აუქციონზე გატანას ეწინააღმდეგება.



როგორც მან გუშინ საკუთარ სახლთან გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, „წლების წინ დადებული თაღლითური გარიგების გამო დღეს მას ბინას ართმევენ, - ბინას, რომელშიც მამამისი რეჟისორი სიკო დოლიძე ცხოვრობდა“.

— სანამ ცოცხალი ვარ, იმ ბინაში არავის შევუშვებ, დავჯდები მამაჩემის ოთახში და თუ ნივთებს ფანჯრიდან გადმომიყრიან, გადმომიყარონ. რა გავუკეთე ამ ქვეყანას ცუდი, რა დაუტოვა საქართველოს მამაჩემმა კარგის მეტი, ნუთუ ჩემს დასაცავად არავინ გამოვა?!, — აღნიშნა რეჟისორმა.

ცნობისთვის, წლების წინ თეატრალურ ფესტივალ „საჩუქრის“ გამო რეჟისორმა საკუთარი ბინა დააგირავა, თუმცა ირწმუნება, რომ ხელი არაფრისთვის მოუწერია.

ქეთი დოლიძის მტკიცებით, იგი „ხელისუფლების თაღლითური გარიგების მსხვერპლი“ გახდა.

**პირველი**

# ოპოზიციის ნაწილი „ქართველთა მარშს“ არ შეუერთდება

ოპოზიციური პარტიების ნაწილი „ეროვნული ფორუმის“ ინიციატივით 27 სექტემბრისთვის დაგეგმილ საპროტესტო მანიფესტაციაში მონაწილეობას არ აპირებს, „ოპოზიციურ ექვსეულში“ შემავალ პარტიებს კი, ჯერ არ გადაუწყვეტიათ, შეუერთდებიან თუ არა ამ აქციას. „ახალმა მემარჯვენეებმა“ რომლებმაც ცოტა ხნის წინ დატოვეს „ოპოზიციური რვიანი“ აქციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.


დავით ზურაბიშვილი

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას პარტიის წარმომადგენელმა მანანა ნაჭყებიამ აღნიშნა, მათ დიდი ხნის წინ განაცხადეს, რომ არ მიიღებენ ისეთ აქციაში მონაწილეობას, რომელიც მათი დაგეგმილი არ არის.

„ეროვნული საბჭოს“, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და რესპუბლიკური პარტიის განცხადებით კი, „ფორუმს“ ექვსეულის დანარჩენ სუბიექტებთან საპროტესტო მანიფესტაციის — „ქართველთა მარშის“ გამართვასთან დაკავშირებით კონსულტაციები არ გაუმართავს. შესაბამისად, ამ საკითხზე მათ ჯერ პოზიცია ჩამოყალიბებული არ აქვთ.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას „თავისუფალი დემოკრატების“ პრესსპიკერმა ვაკო ავალიანმა განაცხადა, მათ სექტემბრის ბოლოსთვის პარტიული ღონისძიებები აქვთ დაგეგმილი, თუმცა 27 სექტემბრამდე დიდი დროა და შესაძლოა, მანამადე რამე შეიცვალოს, ამიტომ ამ დროისთვის გადაჭრით რამის თქმა არ შეუძლიათ.


კობა დავითაშვილი

მისივე ცნობით, ქართველთა მარშში“ მონაწილეობის თემაზე „თავისუფალი დემოკრატები“ „ეროვნულ ფორუმთან“ კონსულტაციებს აუცილებლად გამართავენ,

— ექვსეული გაერთიანებულია სარჩევნო საკითხების ირგვლივ, მაგრამ საარჩევნო თემატიკის გარეთ, ყველა პარტიას თავისი სამოქმედო გეგმა აქვს. ზოგი საპროტესტო აქციებს გამართავს და ზოგი სხვა ღონისძიებებს. „თავისუფალ დემოკრატებსაც“ ექვსეულის გარეთ თავისი სამოქმედო გეგმა აქვს გაწერილი და დამოუკიდებლად მოქმედებს, — განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბრისას ვაკო ავალიანმა.

„ეროვნული საბჭოს“ ერთ-ერთი ლიდერის, კობა დავითაშვილის თქმით კი, არ არის აუცილებელი ექვსეულში შემავალმა პარტიებმა თავისი პარტიული საქმიანობა ვინმეს შეუთანხმონ.

— თუ რომელიმემ აქციის გამართვა გადაწყვიტა კონსულტაციების გამართვა აუცილებელი არ არის. რაც შეეხება ეროვნული საბჭოს მონაწილეობას ამ მანიფესტაციაში, „ეროვნულ ფორუმს“ ჩვენთვის ჯერ არ მოუმართავს და თუ იქნება შემოთავაზება, კონსულტაციებს გავმართავთ, — განუცხადა „მედიანიუსს“ კობა დავითაშვილმა.

რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილის თქმით კი, ამ აქციის გამართვის შესახებ დღეს შეიტყვეს და შესაბამისად, პარტიას პოზიცია ჯერ ჩამოყალიბებული არ აქვს.

— ამ საკითხზე ჯერ არ გვიმსჯელია. პარტიის ლიდერები პოზიციებს შევაჯერებთ და შემდეგ ერთობლივ განცხადებას გავაკეთებთ, — აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას დავით ზურაბიშვილმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მოვუწოდებთ ამერიკის ელჩს, ობიექტურად შეადგინოს პარტიების რეიტინგები

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას ამერიკის საელჩოს მხრიდან შიდასახელმწიფოებრივ საკითხებში ჩარევაში და ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან გამომდინარე აცხადებს, რომ ამერიკის ყოფილი ელჩი ჯონ ტეფტი განსაზღვრავდა, რომელ პოლიტიკურ პარტიას, რამდენი მანდატი უნდა მი-


კახა ძაგანია

ელო ადგილობრივ თუ საპარლამენტო არჩევნებზე.

— ლეიბორისტული პარტია ეხმიანება ვიკილიქსში გამოქვეყნებულ ამერიკის ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის წერილს და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესები მთლიანად იმართება ამერიკის საელჩოდან. ამავე წერილის თანახმად, ნათლად ჩანს, რომ ამერიკის საელჩოს მიერ წინასწარ დადგენილი არჩევნების შედეგებში ლეიბორისტულ პარტიას განსაზღვრული აქვს არაუმეტეს 10%-ისა, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ. მისი თქმით, ასევე ამ საიდუმლო გზავნილში საუბარია იმის შესახებ, რომ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს ლეიბორისტულ პარტიას ხელისუფლებამ შესთავაზა რამდენიმე მილიონი. უარის მიღების შემდეგ კი პარტიის ლიდერებსა და მათი ოჯახის წევრებზე განხორციელდა რეპრესიები.

— მოვუწოდებთ ამერიკის ელჩს, ობიექტურად შეადგინოს პარტიების რეიტინგები, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ მათი დახმარების გარეშე მის რჩეულ სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას საარჩევნო ბარიერის გადალახვაც კი გაუჭირდება, — განაცხადა კახა ძაგანიამ.

ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ვიკილიქსი აქვეყნებს საიდუმლო მასალებს, რომელიც დიპლომატიური კორპუსის მიმოწერის საგანია. ბოლო პერიოდში კი საიტი აქტიურად აქვეყნებს ინფორმაციებს საქართველოსთან მიმართებაში, კერძოდ, ამერიკის ელჩის და სხვადასხვა ოპოზიციური ძალების წარმომადგენლების საუბრებს. ინფორმაციებს ხელისუფლებასთან ფინანსურ გარიგებაზე ცალკეულ ოპოზიციურ ლიდერებთან მიმართებაში და ა. შ.

— ერთ-ერთ ინფორმაციაში წერია, რომ ლეიბორისტულ პარტიას აქვს რეიტინგი 7-დან 10%-მდე. ჩვენი განცხადებები, რომ საქართველოში რეიტინგებს ამერიკის საელჩო ადგენს, ეს ამის დასტურია. ამერიკის საელჩოს კომენტარში ნათქვამია, რომ ნაციონალურ მოძრაობას აწყობს არჩევნებში, ადგილობრივ არჩევნებზეა საუბარი, რომ ლეიბორისტულ პარტიას მონაწილეობა მიეღო. ამ საიდუმლო გზავნილით მტკიცდება, რომ აქ არჩევნებში ამერიკის საელჩოს ფავორიტი არის ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი. ამერიკის საელჩო წინასწარ ცდილობს დაწეროს და განგვისაზღვროს, რომელ პარტიას რა რეიტინგი აქვს და რამდენი ადგილი ეკუთვნის, — აღნიშნა კახა ძაგანიამ და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ რასაც ლეიბორისტული პარტია საერთაშორისო ორგანიზაციების გასაგონად ამბობდა ამ კუთხით, ვიკილიქსის მასალებით დადასტურდა.

# კახა კუკავა ოქტომბრიდან საპროტესტო აქციებს იწყებს

ქეთი ხომერიკი

ცხელი პოლიტიკური ზაფხული, ავად თუ კარგად, გადავაგორეთ. აქ თავი არა ხალხზე უგონოდ შეყვარებულმა ოპოზიციამ, არამედ ქვეყანაზე დღედაღამ მზრუნველმა, გადამკვდარმა ხელისუფლებამ დაგვამახსოვრა. ჩვენი საამაყო ოპოზიციისგან განსხვავებით ხელისუფლება მეტად აქტიური იყო.

მმართველმა გუნდმა თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი და ვიტყოდი, მეტად არაპოპულარული გადაწყვეტილებები მიიღო და ნაბიჯები გადადგა. დიახ, თითქმის ყველა განათლების, ჯანდაცვისა, თუ სხვა სფეროებში, არც შიდაპოლიტიკაში მოგვაკლო სიურპრიზები, „რვიანის“ გაექვსიანებაც კი მოახერხა.

ხელისუფლებას არც მგზავრობის გაძვირება გაუჭირდა, უამრავი სკოლა დახურა, დევნილები კიდევ ერთხელ დევნილებად აქცია და მოდით, აღარ განვაგრძობ... რაც შეეხება ოპოზიციას, მან რით დაგვამახსოვრა თავი? აი, მაგალითად ლეიბორისტები არ ისვენებდნენ, მთელი ზაფხული ბრიფინგს ბრიფინგზე მართავდნენ, მაგრამ რა? ორი კონსტრუქციული ოპოზიციური ძალის ლიდერი თარგამაძე-ალასანია რაიონებში იყვნენ გაჭრილნი, საზოგადოებას ხვდებოდნენ. კუკავას პარტიაზეც არ ითქმის, პასიურობდაო, აგერ მინერალური წყალი ბორჯომი წლის ბოლომდე რუსეთის ბაზარზე დაბრუნდება (ვითომ)? აი, სხვა პარტიებზე კი რა მოგახსენოთ. რა იქნება ახლა, ვინ რით გაგვახარებს, ხელისუფლება მეტად დაგვამახსოვრებს თავს თავისი საამაყო ნაბიჯებით, თუ მარადმწვანე ოპოზიციური ძალები? ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ცხელი პოლიტიკური შემოდგომა გველოდება. და მართლაც, რას აპირებენ კარგა გვარიანად დასვენებული ოპოზიციური ძალები შემოდგომაზე?

**საგანგებო განცხადება კვირის ბოლოს გაკეთდება**

ლეიბორისტები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. შალვა ნათელაშვილის განცხადებით, სექტემბერში ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება უნდა გაერთიანდეს. „უნდა გავერთიანდეთ და მასობრივმა აქციებმა მთელი ქვეყანა უნდა მოიცვას, და თუ ამ მეთოდმაც არ გაჭრა, მაშინ სააკაშვილის ხელისუფლება, ამ სრული მნიშვნელობით, უნდა დავამხოთ, ისე როგორც ეს მოხდა 90-იან წლებში, — აცხადებს, პირველი ლეიბორისტი. წელს ლეიბორისტების მიერ ხელისუფლების დამხობის მომსწრენი გავხდებით? ვინ იცის...

რაც შეეხება „თავისუფალ საქართველოს“, ჩვენი კომპეტენტური წყაროს თქმით, კახა კუკავა დაახლოებით 4-5 ოქტომბრიდან აქციების დაწყებას აპირებს. „ახალმა თაობამ“ კუკავასთან ამ ინფორმაციის გადამოწმება სცადა, მისი პასუხი კი ასეთი იყო — კვირის ბოლოს გავაკეთებ განცხადებას და პირველ ინტერვიუს თქვენ მოგცემთო...


კახა კუკავა

„ექვსიანი“ კვლავ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ფიქრობს, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნით საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებს. ცნობილია, რომ პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას აპირებს, მაგრამ ოპოზიციური ძალების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არ იქნება არსებითი და მნიშვნელოვანი ცვლილებები. ალასანიას განცხადებით, აქციები სწორედ ამ საკითხის საპარლამენტო განხილვისას მოეწყობა. ალასანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ხუთიანთან ერთად იბრძოლებს. ლიდერებს ამ დრომდე არ გადაუწყვეტიათ, ექვსიანი ბლოკად ჩამოყალიბდება თუ არა. ჩვენი წყაროს თქმით, ალასანიას თანაპარტიელები ხუთიანთან „დაბლოკების“ წინააღმდეგნი არიან. რას გადაწყვეტს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი, ამას დრო გვიჩვენებს, ჯერ მის მიერ ორგანიზებულ აქციებს დაველოდოთ.

ალასანიასგან და მისი თანამებრძოლებისგან განსხვავებით „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ახალი მემარჯვენეები“ მიიჩნევენ, რომ საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი და არსებითი ცვლილებები შევა. ქდმ ალბათ პარლამენტში გაკეთებული მწვავე განცხადებებითა და ქვეყანაში არსებულ ამა თუ იმ პრობლემაზე მსჯელობით ნამდვილად დაგვამახსოვრებს თავს, სხვა რამის რა მოგახსენოთ. სხვათა შორის, ქდმ-მ წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო და, რა თქმა უნდა, არა აქციებისთვის, არამედ მხოლოდ 2012 წლის არჩევნებისთვის და მომავალ პარლამენტში მოსახვედრად ემზადება, ისევე როგორც „ახალი მემარჯვენეები“.

აი, „ახლები“ კი საზოგადოებას ჰპირდებიან, რომ საკმაოდ აქტიურები იქნებიან და მათ პრობლემებს პირადად გაეცნობიან. მოკლედ, გამყრელიძეს პარტიაც წინასაარჩევნო რეჟიმში გადადის...

ერთი სიტყვით, საინტერესო მოვლენების მომსწრენი გავხდებით. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ერთ-ერთი რადიკალური ოპოზიციური ძალა, რომლის ლიდერიც თავგადაკლულ ოპოზიციონერად აჩვენებს ხალხს თავს და რეალურად ხელისუფლების დაკრულზე ცეკვავს საპროტესტო მუხტის გასატეხად და ხალხის იმედების გასაცრუებლად, შსს-ს დავალებით შემოდგომაზე აქციებს დაიწყებს. იგივე ბოროტი ენები არ გვიკონკრეტებენ, რომელ რადიკალურ ოპოზიციურ პარტიას გულისხმობენ, თუმცა ამის მიხვედრა ალბათ არ გაგვიჭირდება, ვნახოთ...

რაც შეეხება არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციებს. ცნობილია, რომ შემოდგომაზე „წინააღმდეგობის მოძრაობა ძალიან აქტიური იქნება და ხალხის მობილიზებას მოახდენს. სოსო მანჯავიძე თვლის, რომ უნდა შეიქმნას ეროვნული ინტერესების გამომხატველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრი. მანჯავიძის თქმით, მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყება, ხალხი ქუჩაში სოციალური და უფლებრივი მოთხოვნებით სწორედ მათთან ერთად გამოვა.

დაბოლოს, რას გეგმავს ნაციონალური მოძრაობა? მმართველი გუნდი, რა თქმა უნდა, 2012 წლის არჩევნების მოსაგებად, პარლამენტში კვლავ უმრავლესობით მოსახვედრად ემზადება. ხელისუფლებაში მოკალათებული ჩინოვნიკები არჩევნების გაყალბებისთვის ემზადებიან. რაც შეეხება მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატს, ჩვენ ჯერ კიდევ ივლისში ვწერდით, რომ ნაციონალების პრეზიდენტობის კანდიდატი უგულავა ან ბაქრაძე იქნება. საბოლოო გადაწყვეტილება ძლიერთა ამა ქვეყნისათა ამ საკითხზე ამ დრომდე არ მიუღიათ. აქვე გეტყვით, რომ გავრცელებული ხმები, თითქოსდა ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირებაა და რამდენიმე ჯგუფი ერთმანეთს დაერია, ბლეფია და მეტი არაფერი.

## ნინო გოგუაძე: სასაცილოა, როცა მინისტრი სკოლების ოპტიმიზაციას ბუნებრივ პროცესად მიიჩნევს

სასაცილოა, როცა მინისტრი სკოლების ოპტიმიზაციას ბუნებრივ პროცესად მიიჩნევს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა განათლების საკითხებში, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა ნინო გოგუაძემ დიმიტრი შაშკინის დღევანდელი განცხადების კომენტირებისას განუცხადა. მისი თქმით, ეს ნიშნავს იმას რომ, გაუნათლებლობასაც შეიძლება ბუნებრივი პროცესი ეწოდოს.

— ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არანაირი პოლიტიკა არ უნდა ჰქონდეს ამის აღმოსაფხვრელად. ამიტო, როდესაც მინისტრი ამბობს, რომ რაღაც არის ბუნებრივი პროცესი, თუნდაც, მიგრაცია, სამწუხაროა, რადგან ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს პოლიტიკა მიგრაციის სფეროში. საბჭოთა კავშირში ჩარჩენილიც სწორედ ის ადამიანია, რომელიც სახელმწიფოს არ უყურებს, როგორც სამშობლოს და არ აინტერესებს როგორი იქნება მისი დემოგრაფიული, მიგრაციული, განათლების თუ სხვა პოლიტიკა, — განაცხადა ნინო გოგუაძემ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა დღეს განაცხადა, რომ სკოლების ოპტიმიზაცია, ისევე, როგორც მიგრაცია, ბუნებრივი პროცესია. მისი თქმით, ეს ხდება ყველგან, აშშ-ში, აზერბაიჯანში და მრავალ სხვა ქვეყანაში. სკოლების ოპტიმიზაციის გამო სამინისტროს გამკრიტიკებლებს მინისტრი საბჭოთა კავშირში ჩარჩენილებად მიიჩნევს.

**ინტერპრესნიუსი**

## ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ 20 ტონა ყურძენი შეიძინა

სსიპ — ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ყვარელში რთველი გამართეს. ბიურომ 20 ტონა ყურძენი შეიძინა. ბიუროს ცნობით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებში. ეს აქცია კი გლეხებს სამომავლო გეგმების განხორციელებაში დაეხმარება.

— ვინაიდან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობისაა და, ამასთან, ყვარელი მისი მშობლიური კუთხეა, ბიურომ გადაწყვიტა სწორედ ყვარლის რაიონში რთველის გამართვა. ბიუროს თანამშრომლებმა პატივი მიაგეს მის ხსოვნას და საფლავი გვირგვინით შეამკეს,— განაცხადეს ბიუროში.

**ინტერპრესნიუსი**

## დავით ოქიტაშვილი: „გოლდენ ტალანტი 2011“ — ასეთი რამ მე სოფლებშიც კი არ მინახავს

პროდიუსერი დავით ოქიტაშვილი ბათუმში ჩატარებული „გოლდენ ტალანტ 2011-ს“ ქართველი ხალხის შეურაცხყოფად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მსგავსი დონის ღონისძიებები სოფლებშიც კი არ ტარდება.

როგორც მან „მედიანიუსთან“ საუბრისას განაცხადა, პროექტიდან მისი წამოსვლის მიზეზი გახდა ის არაპროფესიონალიზმი, რამაც „მთელი ქვეყნის მოსახლეობა გააგიჟა“.

— დღეს საქართველოში მე თუ კიდევ რამე გამიკვირდებოდა, ვერ წარმომედგინა. არ მეგონა, რომ კიდევ შეიძლებოდა ასეთი რამის გაკეთება. ვუყურებდი და მრცხვენოდა, რომ ვიყავი ქართველი. მე მრცხვენია, რომ ამ ადამიანებთან და ამ ფესტივალთან ადრე კავშირი მქონდა. იმიტომ ვიძახდი, რომ მოვიდოდა 10 სექტემბერი და ყველა გაიგებდა ჩემი იქიდან წამოსვლის მიზეზს. წინასწარ მე ამ განცხადებას არ ვაკეთებდი იმიტომ, რომ დავიცავი კოლეგიალურობა, არ შევუშალე ხელი საქმეში, — განაცხადა ოქიტაშვილმა და დასძინა, რომ ის გუნდი, რომლთან ერთადაც უნდა ემუშავა ფესტივალზე, მის რჩევებს არ ითვალისწინებდა.

მისი თქმით „გოლდენ ტალანტი“ იყო შეურაცხყოფა ქართველი ხალხის და არა მარტო ქართველი ხალხის, ეკა ჩიტაშვილი (ფესტივალის ორგანიზატორი — რედ.) კი არის უგემოვნობის სინდრომი, ხოლო ის რაც ხდებოდა სცენაზე იყო, მარაზმი.

— მე მსგავსი საშინელება არ მინახავს მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში. როდესაც პროექტს აფინანსებენ, უნდა იცოდნენ, ვის აფინასებენ. როცა სპონსორი სიკეთეს გიკეთებს, მას არ უნდა მიაყენო შეურაცხყოფა, ეს არ შეიძლება. როგორ უნდა ჩატარდეს ფესტივალი, ჩვენ ამას განახებთ მომავალ წელს. მე მაქვს რაღაცა მოსაზრება, მაგრამ ჯერ ბოდიში უნდა მოვუხადოთ ყველას, ვინც იყო ჩამოსული ფესტივალზე, იმიტომ, რომ ეს იყო შეურაცხყოფა იმათთვის. მე ასეთი რამ სიზმარშიც არ დამესიზმრებოდა, — აღნიშნა ოქიტაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 7-10 სექტემბერს ბათუმში საერთაშორისო პოპ მუსიკის ფესტივალი „გოლდენ ტალანტი 2011“ ჩატარდა, რომელშიც 25 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ვარსკვლავური და საპროდიუსერო ჟიურის რჩეული მოლდოველი პაველ პარფენი გახდა. მეორე ადგილზე სალომე ქათამაძე, ხოლო მესამეზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი გავიდა.

კონკურსზე გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებშიც გამოვლინდნენ. ფესტივალი მსოფლიო ჩარტების ლიდერმა, კრის უილისმა დახურა.

**მედიანიუსი**

## თელავის ქუჩებში სიარული სახიფათო გახდა

მაწანწალა ძაღლების მომრავლების გამო თელავის ქუჩებში სიარული სახიფათო გახდა.

როგორც რადიო „ჰერეთი“ იუწყება, ძაღლები ადგილობრივებს პრობლემას განსაკუთრებით ღამის საათებში უქმნიან.

— ამჟამად თელავში არ არსებობს სამსახური, რომელიც ცხოველთა მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობას აიღებს. თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სტატისტიკური მონაცემებით კი, აგვისტოში მუნიციპალიტეტში დაკბენის, დადორბლის და დაკაწრვის 197 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც გასულ თვეებთან შედარებით, მნიშვნელოვნად მეტია. თუმცა როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელი შუქია გიორგელაშვილი აცხადებს, წელს ცოფის შემთხვევა არ ყოფილა, — იუწყება რადიო „ჰერეთი“.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში აცხადებენ, რომ წლების განმავლობაში ძაღლების ლიკვიდაციას დასუფთავების სამსახური ახდენდა და უახლოეს პერიოდში მსგავს ღონისძიებას კვლავ ეს სამსახური გაატარებს. დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრე ბალუაშვილის თქმით კი, ერთი თვის წინ დასუფთავების სამსახურმა საკუთარი ინიციატივითა და ხალხის თხოვნით ძაღლები მართლაც დახოცა, თუმცა მომავალში ამის გაკეთებას აღარ აპირებს.

**პირველი**

## გიგი წერეთელი საპარლამენტო ფორუმში მიიღებს მონაწილეობას

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი დემოკრატიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ „დემოკრატიული თანამეგობრობის საპარლამენტო ფორუმში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 14-16 სექტემბერს ვაშინგტონში გაიმართება. ღონისძიებას აშშ-დან და ევროპის ქვეყნებიდან 100-ზე მეტი პარლამენტარი დაესწრება. განხილული იქნება დემოკრატიის დაცვის საკითხები და პრობლემები, რომელიც დემოკრატიას ავტორიტარული რეჟიმების სახით ექმნება.

გიგი წერეთელი საპარლამენტო ფორუმზე სიტყვით გამოსვლას გეგმავს. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ასევე ორმხრივი შეხვედრები აშშ-ის კონგრესისა და სენატის ხელმძღვანელობასთან, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარეებთან, ასევე აშშ-ის კონგრესის ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციასთან.

**პირველი**

# გაძვირდება თუ არა „მარშრუტკები“

თეა მარხვაი ე



ივლისიდან მოყოლებული ერი გაძვირებული „მარშრუტკების“ გამო ღელავს. მოსახლეობას კიდევ უფრო ანერვიულებს გავრცელებული ხმები მათიმოსალოდნელი გაძვირების შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, „მარშრუტკებით“ მგზავრობის საფასური ოქტომბრის თვიდან გაიზრდება და ის 1 ლარი გახდება.

ოპოზიცია კი ამასთან დაკავშირებით უფრო ტრაგიკულ ინფორმაციას ავრცელებს. მათი თქმით, ხელისუფლება „მარშრუტკების“ გაძვირებას 2 ლარამდე აპირებს. მათი თქმით, საფასური ეტაპობრივად გაიზრდება, ის ჯერ 1 ლარი, შემდეგ 1,5 ლარი და ბოლოს კი 2 ლარი გახდება.

მგზავრობის საფასურის გაძვირებაზე ყვითელი „მარშრუტკების“ მძღოლებიც საუბრობენ. მათი თქმით, ახლო მომავალში მგზავრობის საფასური გაიზრდება. მძღოლების განმარტებით, 80 თეთრი ახალი „მარშრუტკების“ შესანახად საკმარისი თანხა არ არის.

ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ თბილისის მერიაში. მერიას შესანიშნავი პოზიცია უკავია. ისინი ამბობენ, რომ ტრანსპორტის გაძვირებასთან არანაირი კავშირი არა აქვთ და თურმე 80 თეთრი ახალ „მარშრუტკებს“ ტენდერში გამარჯვებულმა ფირმებმა დაადეს.

საინტერესოა, ვინ გააძვირებინა მძღოლებს არაყვითელი „მარშრუტკები“. ყველას კარგად გვახსოვს, რა პერიპეტიები მიდიოდა ამასთან დაკავშირებით. თავიდან ძველი „მარშრუტკების“ მძღოლები უარს ამბობდნენ გაძვირებაზე. ერთ დღესაც, როგორც მძღოლები ამბობენ, მერიიდან შავ სამოსში ჩაცმულმა ტიპებმა მიაკითხეს და აიძულეს მგზავრობის საფასური გაეზარდათ.

თავიდან მძღოლები ცდილობდნენ მგზავრობის საფასური არ გამოეკრათ. მგზავრებს ისინი 50 თეთრს ახდევინებდნენ. ხელისუფლება რისი ხელისუფლება იქნებოდა, ამ ეშმაკობას რომ არ მიმხვდარიყო.

მძღოლების განმარტებით, მათ კატეგორიულად მოსთხოვეს მგზავრობის საფასურის გამოკვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური სანქციებითა და მართვის მოწმობების ჩამორთმევით ემუქრებოდნენ.

თავიდან მძღოლები თითქოს ნერვიულობდნენ ამის გამო. მგზავრებთან ერთად აგინებდნენ ხელისუფლებასა და ყვითელი „მარშრუტკების“ შემომყვანებს. მერე მათაც გაუტკბათ 80 თეთრი და არიან ახლა გაყუჩებული. ვერც გაამტყუნებ, ყველაფერი გაძვირდა და ცხოვრება მძღოლებსაც უნდათ.

თუმცა, 80 თეთრს რომ ადებ მგზავრობის საფასურს, „მარშრუტკა“ ცოტათი წესრიგში უნდა იყოს. ჩვენებური „მარშრუტკების“ თავისებურებანი თბილისის მოსახლეობისთვის კარგად არის ცნობილი.

სკამები ისეა განლაგებული, რომ ტრანსპორტში ასვლა-ჩასვლისას ვიღაცას აუცილებლად უნდა გაეხახუნო. ჩვენი ბედი, რომ ასეთი ხახუნით ხანძარი არ ჩნდება, თორემ ყველა „მარშრუტკას“ პერსონალური სახანძრო დასჭირდებოდა.

მეტი მოგების დარჩენის მიზნით, სკამები ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდაა განლაგებული. შორ მანძილზე თუ მიდიხართ, ასეთ ადგილზე დაჯდომას უნდა ერიდოთ, თორემ ფეხები ისე მოგეღუნებათ, სამარეც ველარ გაგისწორებთ.

ახლა თავად სკამებს არ იკითხავთ, ზოგი ისეთი სკამია, თუ არ დაგეხმარნენ, ვერ წამოდგები. სკამების უმეტესობა კრუხებს გამოადგებათ საბუდარის გასაკეთებლად. თუმცა ზოგი ისეა მომსპარი, რომ იქ ჩაჯდომას თავმოყვარე კრუხიც კი არ იკადრებს.

ყვითელ „მარშრუტკებში“ ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. თუმცა ფეხზე მდგარი მგზავრობა აქაც მოსულა. განსაკუთრებით პიკის საათებში. ამ დროს ტრანსპორტი ისეთი გადაჭედილია, იქ რომ ახვიდე, სულ ცოტა, საშკა კარელინი მაინც უნდა იყო.

წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ტრანსპორტი კიდევ გაძვირდა. ოპოზიცია იფიცება, გაძვირება გარდაუვალიაო.

ასეთმა განცხადებებმა ბოლო დროს ინტენსიური სახე მიიღო. თანაც იმდენად ინტენსიური, რომ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ განცხადებას ავრცელებს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ახალი წლიდან სამარშრუტო ტაქსებში მგზავრობის ღირებულების 1 ლარამდე გაძვირების შესახებ ინფორმაცია უსაფუძვლოა.

— მიუხედავად იმისა, რომ სამარშრუტო ტაქსებზე ფასების განსაზღვრა კომპანიის პრეროგატივაა, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ არ ადასტურებს ამ ინფორმაციას და აღნიშნავს, რომ მგზავრობის ღირებულება ახალი წლიდან 80 თეთრს არ აღემატება. ასევე, ღირებულება უცვლელი დარჩება იმ „მარშრუტებზე“, რომლებზეც მგზავრობის საფასური 40, 50 და 60 თეთრია, — ნათქვამია კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ მიერ 12 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში.

ერთი შეხედვით მშვიდად ყოფნის საშუალება გვაქვს. „თბილისის მიკროავტობუსი“ გვპირდება, რომ მგზავრობის საფასური არ გაიზრდება. არადა, იგივე ხალხი გვპირდებოდა, რომ მგზავრობის საფასური არ გაიზრდებოდა. ივლისიში კი ისე გაიზარდა, როგორც დაგიბარებიათ.

თავიდან შემოგვაპარეს, მხოლოდ №4 „მარშრუტკაზე“ გაიზრდებაო. მერე კი ყველა მიაყოლეს და ახლა თბილისელები 80 თეთრით მგზავრობენ. ფულის ყოველი გახადის დროს კრულავენ და წყევლიან მთავრობას.

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა მუნიციპალური ტრანსპორტიც გაძვირდეს. ამ ინფორმაციას მერია ჭორს, თანაც ბინძურ ჭორს უწოდებს. სხვათა შორის, ასევე ამბობდნენ რამდენიმე თვის წინაც. როცა ითქვა, რომ მეტრო და ავტობუსი 50 თეთრი გახდებაო. ამბობდნენ და გახდა.

ასე რომ, არავითარი გარანტია არ არის, რომ მგზავრობის საფასური არ გაიზრდება.

## შსს-ს არქივი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნება

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნება. შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანება უკვე ძალაშია.

ბრძანების თანახმად, არქივი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე, სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ. არქივს ექნება სახელმწიფოს მიერ გადაცემული განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის საბანკო ანგარიშები, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

არქივი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის 72 ში იქნება განთავსებული. არქივის მიზნები იქნება საარქივო ფონდების შევსება დოკუმენტებით მატერიალურ ან ელექტრონულ მატარებელზე, საარქივო ფონდების დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება; საარქივო ფონდების დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა; საარქივო ფონდების დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფა, კონსერვაცია, დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია; საარქივო ფონდების დოკუმენტებთან თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში; საარქივო მასალების საფუძველზე პუბლიკაციების მომზადება და ბეჭდვა.

არქივს დირექტორი უხელმძღვანელებს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ინტერპრესნიუსი

## ცესკოს თავმჯდომარემ ევროპაში შეხვედრები გამართა

ცესკოს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა ცესკოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსთან ერთად ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ორგანიზებით ვარშავაში გამართულ სემინარში მიიღო მონაწილეობა.

სემინარი, სადაც ამომრჩეველთა სიის დახვეწის საკითხებს განიხილავდნენ 31 აგვისტო - 1 სექტემბერს ჩატარდა. შეხვედრაში სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მოსახლეობის რეგისტრაციასა და სტატისტიკაზე პასუხისმგებელი ორგანოების წარმომადგენლები და ექსპერტები მონაწილეობდნენ; მათ შორის იყვნენ სტუმრები ავსტრიიდან, ფინეთიდან, ალბანეთიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან, სომხეთიდან და ა.შ. მონაწილეებმა წარმოადგინეს საკუთარი გამოცდილებები ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესში, ასევე გაეცნენ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციებს რეგისტრაციის პროცესის დაკვირვების კუთხით.

როგორც „მედიანიუსს“ ცესკოდან აცნობეს, ვიზიტის პერიოდში საქართველოს ცესკოს თავმჯდომარე პოლონეთის ცესკოს წარმომადგენლებსაც შეხვდა; მხარეებმა ერთმანეთს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებში არსებული გამოცდილებები გაუზიარეს.

1-5 სექტემბერს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უკრაინის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეწვია, სადაც შეხვედრები გამართა უკრაინელ კოლეგასთან ვოლოდიმირ შაპოვალთან და კომისიის წევრებთან. შეხვედრებზე მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და არსებული წარმატებული გამოცდილებები განიხილეს.

5-6 სექტემბერს კი ცესკოს თავმჯდომარე კიშინიოვში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო, რომელიც ევროპის საბჭოს ორგანიზებით და ევროკავშირის დაფინანსებით გაიმართა. კონფერენციაზე, სადაც ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების გზებს განიხილავდნენ, თითოეულმა მონაწილემ აღნიშნული მიმართულებით საკუთარი გამოცდილება წარმოადგინა. მოგვიანებით კი ამომრჩეველთა განათლების სხვადასხვა სპეციფიური სფეროები განიხილეს, მათ შორის: არჩევნებში მონაწილეობა კონფლიქტურ რეგიონებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსახლეობის საარჩევნო პროცესებში ჩართულობა, ტრენინგ ცენტრების არსებობის საჭიროება, სახელმძღვანელოების საჭიროება ამომრჩევლებისთვის და ა.შ.

ინტერპრესნიუსი

## მკვლელობაში ბრალდებული შსს-ს თანამშრომლის პროცესი გაიმართება

ორი ახალგაზრდის მკვლელობაში ბრალდებული შსს-ს თანამშრომლის დავით ჩოთალიშვილის პროცესი თელავის რაიონულ სასამართლოში დღეს გაიმართება. საქმეს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილი განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, 2011 წლის 8 ივლისს, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა შსს-ის სამინისტროს თანამშრომელმა დავით ჩოთალიშვილმა ურთიერთშელაპარაკების დროს, თელავის რაიონის სოფელ წინანდალში, დაახლოებით 00:15 საათზე, ტაბელური იარაღიდან გასროლით დახოცა შოთა ბატიაშვილი და გიგა გემაზაშვილი. ჩოთალიშვილმა, ესროლა გიორგი დათუკიშვილსაც, მაგრამ ააცილა. გიორგი დათუკიშვილმა გაქცევა მოახერხა. ჩოთალიშვილს ბრალი ედება საქართველის სსკ-ის 19-109-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 109-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

მედიანიუსი

## სიძის ცრუ დასმენისთვის სიდედრს პირობითი სასჯელი შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა მარინე აფციაურის მიმართ. მას ბრალად ედებოდა ცრუ დასმენა საკუთარი სიძის მიმართ, რასაც ერთვოდა ბრალდება მძიმე დანაშაულის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, საქმის მასალების მიხედვით, თბილისში, მცხოვრებ მარინე აფციაურს საკუთრებაში “ფოლკსვაგენ გოლფი“ ის მარკის ავტომანქანა ჰყავდა, რომლითაც ხშირად სარგებლობდნენ ოჯახის წევრები, მათ შორის მარინე აფციაურის სიძე - ვახტანგ დ.

მარინე აფციაურს და მის შვილს თამარ აფციაურს ჰქონდათ ეჭვი, რომ ვახტანგ დ.-ს ყავდა ე.წ. საყვარელი და როდესაც 2011 წლის 20 ივნისს, ვახტანგ დ. ავტომანქანით წავიდა, ისინი კერძო ტაქსით ვახტანგ დ.-ს სათვალთვალოდ გაჰყვნენ. დაახლოებით 17:00 საათზე, მან სიძის მანქანაში ორი მანდილოსანი შენიშნა. ვახტანგ დ.-ს სავარაუდო ღალატით შეშფოთებული მარინე აფციაური გადმოვიდა ავტომანქანიდან და ყვირილით მოსთხოვა სიძეს ავტომანქანის შეჩერება, რასაც ვახტანგ დ. არ დაემორჩილა.

აღნიშნული გარემოებით განერვიულებულმა მარინე აფციაურმა საპატრულო პოლიცია გამოიძახა და განაცხადა, რომ ვახტანგ დ.-მ მისი კუთვნილი ავტომანქანა გაიტაცა.

შეტყობინების საფუძველზე, თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს ისან-სამგორის სამმართველოს განყოფილებაში დაიწყო გამოძიება მ. აფციაურის ა?მანქანის ქურდობის ფაქტზე. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით გაირკვა, რომ რეალურად ავტომობილის ქურდობის ფაქტი არ მომხდარა და ადგილი ჰქონდა გაბრაზებული მარინე აფციაურის მიერ სიძის ცრუ დასმენას.

საქმის სასამართლო განხილვისას მარინე აფციაურმა აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული. ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების გარდა, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურდა: მოწმეების, მათ შორის ვახტანგ დ.-ს მიერ მიცემული ჩვენებით, საპატრულო პოლიციიდან ამოღებული ოქმებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით მარინე აფციაურს სასჯელის სახედ და ზომად 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

მედიანიუსი

## „რეფორმატორული საჭმელი ჰალსტუხების“ პრეზენტაცია დღეს გაიმართება

13 სექტემბერს თბილისში, გალერეა „თიფლის ავენუე“ გაიმართება პრეზენტაცია პროექტისა, სახელწოდებით, „რეფორმატორული საჭმელი ჰალსტუხები“.

„რეფორმატორული საჭმელი ჰალსტუხები“- ახალი ვიტამინებით გაჯერებული ინფორმაციულ-საკვები პროდუქტია, რომელიც ოლეგ პანფილოვმა და ლევან ჩოლოყაშვილმა დააპატენტეს. ის დამზადებულია ტრადიციული ქართული ნატურალური პროდუქტებისგან.

ინტერპრესნიუსი

## მეორე სემესტრიდან სკოლებში ელექტრონული ჟურნალები ამოქმედდება

სასწავლო წლის მეორე სემესტრდან თბილისის სკოლებში ელექტრონული ჟურნალების პროექტი ამოქმედდება, მომავალი წლიდან კი ის მთელს ქვეყანას მოიცავს.



დიმიტრი შაშკინი

ამის შესახებ გუშინ ჟუნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განუცხადა.

მისი თქმით, აღნიშნულ პროექტს ის ხვალ პარლამენტში კომიტეტის სხდომაზე წარადგენს.

— ახალ სტრატეგიას, რომელიც სკოლების მართვის ელექტრონულ ვერსიაზე გადასვლას ითვალისწინებს, წარვუდგენ კომიტეტს. უკვე შეიქმნა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ელექტრონული ბაზა, რამაც მოგვცა შესაძლებლობა, ორმ გავაკეთოთ ელექტრონული ჟურნალი მეორე სემესტრიდან ჯერ თბილისში, შემდეგ კი ეს პროცესი გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, — განაცხადა შაშკინმა და დასძინა, რომ, მშობელს ექნება შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში ნახონ თავისი შვილის ნიშნები. გარდა ამისა, იქმნება ელექტრონული ბიბლიოთეკაც.

მედიანიუსი

## ქდმ რთველის მონიტორინგის ალტერნატიულ შტაბებს ქმნის

ქრისტიან-დემოკრატებმა“ კახეთში რთველის მონიტორინგის ალტერნატიული შტაბების შექმნა გადაწყვიტეს.

ამის შესახებ გუშინ გურჯაანში, აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლით სხდომაზე პარლამენტის წევრმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა.

სხდომაზე, სადაც დეპუტატებმა რთველის მიმდინარეობის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიში მოისმინეს, ლალიაშვილმა მთავრობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებით პოლიტიკურ სპეკულაციაში დაადანაშაულა.

— არ შეიძლება რთველი პოლიტიკური ჟონგლიორობის საგნად იქცეს და ჩვენ არ დავუშვებთ ხელისუფლების მცდელობას ამომრჩეველთა ხმები ყურძენში გაცვალოს.

ქრისტიან-დემოკრატები„ მთელი კახეთის მასშტაბით ვქმნით რთველის მონიტორინგის ალტერნატიულ შტაბებს. ჩვენი პარტიის წევრები, გლეხებთან და მეღვინეებთან ერთად, თავიდან ბოლომდე გავაკონტროლებთ ამ პროცესს და დავიცავთ როგორც გლეხების, ისე მეწარმეების ინტერესებს, — განაცხადა ნიკა ლალიაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

## რუსეთის ციხიდან ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი გაიქცა

წარმოშობით ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი დავით ედიშერაშვილი რუსეთის ტუვის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი ციხიდან გაიქცა.

„პრაიმ კრაიმის" ინფორმაციით, ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტს სასამართლოს გადაწყვეტილებით რუსეთიდან გაძევება ემუქრებოდა. მან ტუვის უმაღლეს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა, თუმცა უშედეგოდ, რის შემდეგაც „დატო ტბილისკი" კიზილის კოლონიის გამანაწილებლიდან გაიქცა.

დავით ედიშერაშვილი მოსკოვში 2003 წელს დააკავეს. ბინების გაქურდვის გამო მას 8,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსააჯეს. 2008 წელს ადმინისტრაციის ზეწოლით მან დაწერა განცხადება, რომელშიც „კანონიერი ქურდის" წოდებაზე უარი თქვა.

ედიშერაშვილი 2011 წლის 2 აგვისტოს გათავისუფლდა. შემდეგ სამართალდამცველებმა კვლავ დააკავეს და ტუვის კოლონიაში გადაიყვანეს.

**მედიანიუსი**

## პარლამენტში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ინიცირება მოხდა

პარლამენტში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა შევიდა. შესაბამისი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონპროექტის ინიცირება პარლამენტის ბიუროს დღეს გამართულ სხდომაზე მოხდა.

კანონპროექტით განისაზღვრება ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შეზღუდვასა და კონცენტრაციასთან დაკავშირებული საკითხები, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარღვევის პრევენციისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები, უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენცია და სხვა. მისი ინიციატორია საქართველოს მთავრობა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში უნდა ყოფილიყო ინიცირებული. მოგვიანებით მთავრობამ პროექტის ინიცირების თარიღად გაზაფხული განსაზღვრა. თუმცა საბოლოოოდ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ინიცირება მხოლოდ საშემოდგომო სესიაზე მოხერხდა.

**მედიანიუსი**

## საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორების გადამზადება დაიწყო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა და ექსპერტიზის დეპარტამენტის თორმეტი სტაჟიორის გადამზადება დაიწყო.

საგამოძოებო სამსახურის ცნობით, სტაჟიორები თეორიული და პრაქტიკული გადამზადების ინტენსიურ კურსს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე გაივლიან. სპეციალურად მათთვის შედგენილი პროგრამების მეშვეობით, საგამოძიებო სამსახურში საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას შეიძენენ. სასწავლო კურსი აერთიანებს 8 საგანს — საგადასახადო სამართალი, საგადასახადო ადმინისტრირება, ბუღალტრული აღრიცხვა, სახაზინო ოპერაციები, სახელმწიფო შესყიდვები, საგადასახადო აუდიტი, სასამართლო — საბუღალტრო ექსპერტიზა, საბიუჯეტო სისტემა. სტაჟიორებს მოუწევთ შუალედური და შემაჯამებელი გამოცდების ჩაბარება ყველა დისციპლინაში, გამოცდების წარმატებით გავლის შემთხვევაში გადაეცემათ ტრეინინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ორთვიანი ტრეინინგ 10 ნოემბერს დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

## საზღვრის უკანონოდ ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე 21 პირი დააკავეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს (აღმოსავლეთი) და №2 სამმართველოს (ახალციხე) თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე 21 პირი დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ცნობით, დაკავებულებიდან 2 თურქეთის, ხოლო 19 ბანგლადეშის რესპუბლიკის მოქალაქეა. დაკავებულები ცდილობდნენ უკანონოდ, სასაზღვრო კონტროლის გვერდის ავლით საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამმართლის კოდექსის 19 344 ე მუხლის II ნაწილის ა„ ქვეპუნქტით.

**ინტერპრესნიუსი**

# ვაშაძე ქართველი დიპლომატების მუშაობით კმაყოფილია

*ნათია ხურცილავა*



საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლების ხელმძღვანელებთან მინისტრთა კაბინეტის წევრებმა შეხვედრები გამართეს.

ამბასადორიალი საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გახსნა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთი წლის მანძილზე დიპლომატიური სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა შეაჯამა.

სამი დღის განმავლობაში ამბასადორიალის მონაწილეები, ჩვენი ქვეყნის ელჩები საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ.

ელჩებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შეხვედრაზე ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა არის მთავარი საკითხი.

— აქცენტები რამდენიმე მთავარ მიმართულებაზე გაკეთდა. პირველი, საქართველოსთვის უსაფრთხო, მშვიდობიანი გარემოს შექმნა, რომ ქვეყანაში გაგრძელდეს დემოკრატიული რეფორმების გატარება და ეკონომიკური აღმშენებლობა. მეორე მნივშნელოვანი საკითხია, რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან და სამშვიდობო ოპერაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მესამე, ჩვენი მისიების მნივშნელოვანი ფუნქუცა არის ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა და იმ ეკონომიკური აღმავლობისთვის ხელის შეწყობა, რომელიც გვაქვს. მთავარი, სტრატეგიული მიზანი არის ევროატლანტიკური ინტეგრაცია. — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით მომავალი წლის მთავარი პრიორიტეტებია ქვეყნის დეოკოუპაცია, დემოკრატიული პროცესების განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და ევრაოატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანება.

9-10 ნოემბერს საქართევლოს ვიზიტით ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს-ფოგ რასმუსენი ეწვევა, ასევე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები.

ანდრეს-ფოგ რასმუსენი საქართველოს პირველად 2009 წელს ეწვია. მას შემდეგ ნატოს გენერალური მდივანი საქართველოში არ ყოფილა.

ანდრეს-ფოგ რასმუსენის ვიზიტი დიპლომატიურმა კორპუსმა უკვე შეაფასა და მას მნიშვნელოვანი უწოდა.

— საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური კომისია და გენერალური მდივანი ეწვევა. ომის შემდეგ იყვნენ საქართველოში 2009 წელს. მას შემდეგ პირველი ვიზიტი არის. მთავარი მიზანი ამ ვიზიტის არის, ადგილზე დარწმუნდნენ, რამდენად სწრაფად ვითარდება ჩვენი ქვეყანა და რამდენად შეესაბამება ნატოს სტანდარტებს ჩვენი მაკროეკონომიკური ციფრები, ჩვენი დემოკრატიული რეფორმები, სამხედრო ბიუჯეტი და ჩვენი მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში.

## თბილისში სარკოზის დასახვედრად ემზადებიან

გეგა მგალობლიშვილი, საქართველოს წარმომადგენელი ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში:



გრიგოლ ვაშაძე

— საქართველოში ნატოს გენერალური მდივანი ჩამოდის, ჩრდილო-ატლანტიკურ საბჭოსთან ერთად. ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო მოიცავს როგორც გენერალურ მდივანს, ასევე წევრი-სახელმწიფოების მუდმივ წარმომადგენლებს. ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია. საქართველოში გაიმართება ნატო-საქართველოს სხდომა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს სხდომები რეგულარულად იმართება ბრიუსელში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ვიზიტი შედგება ჩიკაგოში დაგეგმილი სამიტიდან რამდენიმე თვით ადრე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვექნება საშუალება, ძალიან დეტალურად, ფუნდამენტურად ვიმსჯელოთ საქართველოს ინტეგრაციის პროცესზე ჩრდილო-ატლანტიკურ საბჭოში. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრაცია მაშინ, როდესაც ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო ამა თუ იმ დედაქალაქში ჩადის. აღნიშნული ვიზიტი გაფართოვებული შემადგენლობით, ელჩებთან, გენერალურ მდივანთან ერთად ხაზგასმა არის, რომ პროცესი ძალზე დინამიკურად და წარმატებულად მიმდინარეობს. ამგვარი პროცესების კოორდინაცია მნიშვნელოვანია. ეს შეხვედრა ხელს უწყობს კოორდინაციის პროცესს. საბჭოს ჩამოსვლა გარკვეულწილად პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირებაც არის.

ამბასადორიალის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს ელჩმა უკრაინაში.

— ძალიან ოპერატიულად, ამ შემჭიდროვებულ დროში წყდება ყველა საკითხი, რაც შეიძლება ვერ გადაწყდეს სხვა სიტუაციაში. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვნია, რომ ასეთი შეკრება ყოველწლიურად ტარდება. — განაცხადა გრიგოლ ქათამაძემ, საქართველოს ელჩმა უკრაინაში.

ასევე ცნობილია, რომ საქართველოს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ეწვევა. საფრანგეთის პრეზიდენტის მნიშვნელობაზე საქართველოს პირველმა დიპლომატმა ჟურნალისტებთან ისაუბრა:

— საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. ორი ქვეყნის პირველი პირები ურთიერთთანამშრომლობის ყველა ასპექტს განიხილავენ, სიტუაციას რეგიონში, საქართველოს თანამშრომლობას ევროკავშირთან და ნატოსთან და იმ ნაბიჯებს, რომელიც ორივე მხარეს ექნება. საფრანგეთი, სხვა ევროპული ქვეყნები, ისეევ როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, მუდმივად ითხოვს რუსეთისგან ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების უპირობო შესრულებას და ევროპის სადამკვირვებლო მისიის მანდატის სრულ აღსრულებას, რომელიც მათ შორის ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედებას. — გვითხრა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოში სარკოზის ვიზიტის მნივშნელობა საქართველოს ელჩმა საფრანგეთში მამუკა კუდავამაც შეაფასა.

— სარკოზის მშვენიერი ურთიერთობა აქვს რუს კოლეგებთან. მას ის ყოველთვის იყენებს იმისთვის, რომ შეთანხმება შესრულდეს. ეს ყოველთვის დგას დღის წესრიგში. რაც უფრო აქტიური იქნება საფრთანგეთის პოლიტიკა ევროკავშირის ფარგლებში, მით მეტი დახმარება გვექნება. საფრანგეთი იყო ერთ-ერთი აქტიური ქვეყანა ასოცირების ხელშეკრულების დადების კუთხით ევროკავშირთან. საფრანგეთი არის ის ქვეყანა, რომელმაც მხარი დაგვიჭირა ვიზების გამარტივების საკითხის შემუშავების დროს.

**ნიკა რურუა,** ძეგლთა დაცვის და კულტურის მინისტრი:

— ამბასადორიალის გამართვის იდეა შესანიშნავი და ძალიან საჭიროა. შეხვედრა ხდება მთელი ჩვენი დიპლომატიური კორპუსის არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ მინისტრთა კაბინეტთან. ისინი ეცნობიან შიდა პროცესებზე ინფორმაციას, შეიძლება ითქვას, პირველი ხელიდან. ასევე იგეგმება თანამშრომლობის ოპტიმალური შესაძლებლობები და გეგმები. ვისაუბრეთ იმაზე, როგორ გაგრძელდეს მომავალი წლისთვის თანამშრომლობა კულტურის სფეროში. რა ქვეყნები არის პრიორიტეტული, კულტურის რა დარგები იქნება პრეზენტირებული საზღვარგარეთ. ასევე მნიშვნელოავნია ბიზნესურთიერთობები, ინვესტიციების მოზიდვა. ამ შეხვედრას ძალიან კონკრეტული შედეგი ექნება ჩვენი ეკონომიკისთვისაც და რეპუტაციისთვისაც საზღვარგარეთ.

# თბილისსა და დუბაის შორის ფრენებს flydubai შეასრულებს





## flydubai დაბალი ტარიფების მქონე ავიაკომპანია გაფართოებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისკენ თბილისიდან იწყებს

დუბაის ნოვატორული, დაბალი ტარიფების მქონე ავიაკომპანია flydubai-მ გაერთიანებული საემიროებიდან თბილისის მიმართულებით ფრენაზე ქართული მხარისგან ოფიციალური ნებართვა მიიღო. flydubai-ისთვის თბილისის მიმართულებით რეისირიგით 45-ეა.



გიორგი კარბელაშვილი და გაით ალ გაითი

ავიაკომპანია flydubai 2008 წლის მარტში შეიქმნა და ფუნქციონირება 2009 წლის ივნისში დაიწყო. ამავე წელს შეიქმნა 39 საოპერაციო მარშრუტის ქსელი სპარსეთის ყურეში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ინდოეთის ნახევარკუნძულზე, აზიასა და ევროპაში. მისი საჰაერო ფლოტი 19 ხომალდისგან შედგება. flydubai დაბალი ტარიფების მქონე და სწრაფად მზარდი კომპანიაა.

შეთანხმებას არაბულ მხარესთან საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გიორგი კარბელაშვილმა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ოფიციალური ვიზიტისას მიაღწია. კარბელაშვილის თქმით, flydubai-ის შემოსვლა საქართველოს ბაზარზე მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოსა და არაბეთის გაერთიანებული საემიროების ურთიერთობებში. „დარწმუნებული ვარ, flydubai-ის მიერ თბილისის და დუბაის დაკავშირება ქვეყნებს შორის კავშირების დამყარებასა და განმტკიცებაში დაგვეხმარება. ჩვენ მრავალი საერთო ინტერესი გვაქვს როგორც საბანკო და უძრავი ქონების, ისე ნავთობის, გაზისა და ტურიზმის სფეროში," — განაცხადა გიორგი კარბელაშვილმა.

flydubai-ის აღმასრულებელი დირექტორის გაით ალ გაითის თქმით კი, დუბაისა და თბილისის ურთიერთობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლო აღმოსავლეთში. „არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში რეგიონიდან 55,000-ზე მეტი ექსპატრიატი ცხოვრობს. ამასთან, ემირატებს ყოველწლიურად მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს. იმედი გვაქვს, რომ პირდაპირი რეისები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორ ქვეყანას შორის მგზავრობის გამარტივებასა და ხელმისაწვდომობაში," — ამბობს გაით ალ გაითი.

flydubai ამჟამად რეისებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხუთ ქვეყანაში ასრულებს: სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთსა და თურქმენეთში. ამასთან, flydubai ორ ახალ მარშრუტს დაამატებს რუსეთის მიმართულებით, ხოლო უკრაინაში რეისებს კიევისა და ხარკოვის მიმართულებით შეასრულებს.

რეისები თბილისის მიმართულებით 2011 წლის 4 ნოემბერს დაიწყება და კვირაში ორჯერ შესრულდება. რეისი დუბაის მე-2 ტერმინალიდან 23:45 საათზე გამოფრინდებადა თბილისის აეროპორტში ადგილობრივი დროით 03:15 საათზე დაეშვება, ხოლო რეისი უკუმიმართულებით თბილისიდან 04:00 საათზე განხორციელდება.

დუბაი-თბილისის ორმხრივი ბილეთის ფასი 270 დოლარიდან(990 დირჰამიდან) იწყება, ხოლო რეგისტრირებული ბარგის გადატანის საფასური 14 დოლარიდან (20კგ-სთვის) იქნება.

შედით საიტზე atb.ge

„%!!

## ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**



**ივანე, იგივე ვანო მერაბიშვილი** დაიბადა 1968 წლის 15 აპრილს, ადიგენის რაიონის სოფელ უდეში.

1992 წელს დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტი.

1992-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და აგრარულ უნივერსიტეტში ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად, ასისტენტად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1995 წლიდან მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი იყო.

1996 წელს თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი გახდა.

1999 წელს მერაბიშვილი აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად.

2000 წლიდან საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

2003 წელს ვარდების რევოლუციის აქტიური მხარდამჭერი იყო.

2004 წელს, 26 იანვარს პრეზიდენტმა სააკაშვილმა დანიშნა პრეზიდენტის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების საკითხებში და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

2004 წლის 7 ივნისს დაინიშნა უშიშროების მინისტრად.

2004 წლის 18 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთას მინისტრად დაინიშნა. ის დღემდე რჩება ამ თანამდებობაზე.

ვანო მერაბიშვილს ჰყავს მეუღლე თამარ სალაყაია და ორი ვაჟი მიხეილი და დავითი.

მერაბიშვილის ქონებასა და წილებზე ლეგენდები დადის. ოპოზიციის მტკიცებით, შს მინისტრს ძალიან ბევრ ბიზნესში აქვს წილი. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი შს მინისტრი საკმაოდ მოკრძალებული ქონების პატრონი ყოფილა.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, რომელიც შს მინისტრმა მიმდინარე წელს შეავს,ო ირკვავა, რომ მას ორი სახლი აქვს. ვანო მერაბიშვილის კუთვნილებაა ახალციხეში (ვარიანის ჩიხი 1) საცხოვრებელი სახლი. რომლის ფართობი 800.0 კვ.მ.-ია.

შს მინისტრს ეკუთვნის ასევე თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში მდებარე ბინა. ამ ბინის ფართი სულ რაღაც 45 კვ.მ.-ია.

მინისტრი და მისი ოჯახის წევრები არანაირ ფასიან ქაღალდებს არ ფლობენ.

ვანო მერაბიშვილს რამდენიმე ბანკში აქვს ანგარიში გახსნილი.

„ქართუ ბანკში" მინისტრს სახელფასო ანგარიში აქვს გახსნილი. ქონებრივი დეკლარაციის მომენტში მას ამ ბანკისთვის მიბარებული ჰქონდა 140038.4 ლარი.

სახელფასო ანგარიში აქვს გახსნილი მინისტრს „თი-ბი-სი" ბანკშიც. აქ მის ანგარიშზე 12800.0 ლარია.

„საქართველოს ბანკში" მერაბიშვილის სახელზე 33153.0 აშშ დოლარი ირიცხება.

„საქართველოს ბანკში" გახსნილ მეორე ანგარიშზე მინისტრს 0 ევრო ერიცხება.

ბანკ „რესპუბლიკაში" მერაბიშვილის სახელზე 7984.52 ლარი ირიცხება.

„ბანკი ქართუში" მას გახსნილი აქვს ანაბარი, რომელზეც 33044.0 ლარი ირიცხება.

„თი-ბი-სი" ბანკში მერაბიშვილის სახელზე გახსნილ ანგარიშზე 14.0 დოლარი ირიცხება.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, არც მერაბიშვილი და არც მისი ოჯახის წევრები არ მონაწილეობენ სამეწარმეო საქმიანობაში.

გასულ წელს შს მინისტრის რანგში ვანო მერაბიშვილმა 74655.0 ლარი გამოიმუშავა.

მისი მეუღლის, თამარ მერაბიშვილის, ხელფასმა გასულ წელს 12800.0 ლარი გამოიმუშავა. მისი მეუღლე მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციაშია დასაქმებული.

2010 წელს არც მინისტრს და არც მისი ოჯახის წევრებს არ მიუღიათ საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს.

ვანო მერაბიშვილი ჩვენმა საზოგადოებამ ერთი სკანდალური ინტერვიუს შემდეგ გაიცნო კარგად. ეს 2001 წელს მოხდა. ის პირველი იყო, რომელმაც შევარდნაძეზე ღიად თქვა ცუდი რაღაცეები.

ახლა საქართველოში ბავშვმაც კი იცის ვინ არის ვანო. ამის მიუხედავად, ის საჯარო ღონისძიებებზე სიარულს ერიდება. სხვა მინისტრების მსგავსად, არც საფეხბურთო თუ საკალათბურთო მატჩებს ესწრება.

მინისტრს არ უყვარს ფეხბურთი და როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, საერთოდ ვერ იმახსოვრებს ფეხბურთელების გვარებს.

რუსული მედია მას ძალიან სწყალობს. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ჯაშუშებზე ნადირობს, რუსულ მედიას ინტერვიუზე უარს არასდროს ეუბნება.

გასულ წელს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ვანო მერაბიშვილმა თქვა, რომ არ იცის რამდენი აქვს ხელფასი. ამან მაშინ ოპოზიციის დიდი აღშფოთება გამოიწვია.

## შეიძლება სტრატეგიული ობიექტები დავკარგოთ

ნანა მიშელაშვილი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მთავრობის მიერ შემოთავაზებულ სიურპრიზებზე ალაპარაკდა, რაც სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას უკავშირდება.

ედპ-ის წევრმა გურამ ჩახვაძემ გუშინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა და მთავრობას კონკრეტული გეგმა და გარანტიები მოსთხოვა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ხელისუფლებას მოუწოდებს პარლამენტისა და საზოგადოების გვერდის ავლით არ განახორციელოს სტრატეგიული ობიექტების პრივატიზება.

რაც შეეხება თავად „სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტს, ამ ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების აქციებისა და წილების უცხოურ ბირჟებზე პრივატიზება დასაშვები ხდება.

ედპ-ის წევრის თქმით, არასაკმარისია ხელისუფლების მხოლოდ სიტყვიერი დაპირება, რომ საფონდო ბირჟებზე გატანით, სახელმწიფო არ დაკარგავს სტრატეგიულ ობიექტებზე კონტროლს.

— მთავრობის ასეთი საპრივატიზაციო პოლიტიკით, არსებობს საშიშროება, საქართველომ დაკარგოს როგორც რეგიონალური მოთამაშის როლი და დამოუკიდებლობა, რადგან ჩვენ გზას ვიხსნით რუსეთის ექსპანსიურ პოლიტიკას საქართველოს ეკონომიკაში. უკვე არსებობს პრეცედენტები, როცა ქვეყანამ დაკარგა კონტროლი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ენერგეტიკასა და ინფრასტრუქტურაზე, — აღნიშნა ჩახვაძემ.

დეპუტატის აზრით, სტრატეგიული ობიექტების გაყიდვით შესაძლოა სხვის ხელში აღმოჩნდეს არა მხოლოდ მილსადენი, ან რკინიგზა, არამედ მთელი ინფრასტრუქტურა.

ედპ მოითხოვს, კანონში აისახოს გარანტიები, სტრატეგიული ობიექტების მართვის პაკეტის შენარჩუნების შესახებ.

ჩახვაძის პარტიის პოზიციაა მთავრობისგან მიიღოს არა ზოგადი ინფორმაცია ენერგეტიკისა და რკინიგზის პრივატიზებასთან დაკავშირებით და სიტყვიერი დაპირება, რომ სახელმწიფო არ დაკარგავს ამ ობიექტებზე კონტროლს, არამედ სამთავრობო გეგმა და საკანონმდებლო გარანტიები.

ამასთან, ედპ ითხოვს მთავრობის




კონსულტაციას პარლამენტთან და ექსპერტებთან.

ედპ-ს პოზიციაა, რომ დღესაც და მომავალშიც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და, შესაბამისად, დამოუკიდებლობის ხაზი გადის სახელმწიფო ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ქვეყანას აძლევს საშუალებას, იყოს სრულფასოვანი მოთამაშე რეგიონში და, შესაბამისად, დასავლეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების სისტემის ნაწილი.

— შეიძლება პირდაპირ ჩაიდოს ან ცალკე კანონი მივიღოთ, რომ საკონტროლო პაკეტებს სახელმწიფო ფლობს, — ასეთია გურამ ჩახვაძის პოზიცია.

ედპ-ის წევრმა რამდენიმე მაგალითი მოიყვანა. კერძოდ, თბილისის ელექტროენერგიით მომარაგებაში შემოსულია „რაოეესი", ასევე მას აქვს რიგი ელექტროსადგურები საკუთრებაში, გაზმომარაგებაში ყაზახეთია შემოსული, მაგრამ ყაზახეთი და რუსული კომპანია ურთიერთდაკავშირებულია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეჭვობს, რომ მთავრობა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების გარანტიების გამკაცრების ნაცვლად, მის მეტ ლიბერალიზებას გეგმავს.

გურამ ჩახვაძეს ინფორმაცია აქვს იმის თაობაზე, რომ პარლამენტში მსგავსი კანონპროექტის ინიცირება უახლოეს დღეებში იგეგმება.

კერძოდ, „ნავთობისა და გაზის" შესახებ კანონში წერია, რომ ნავთობის ეროვნული კომპანია არის საწარმო, რომლის წილის (აქციების) 75%-ზე მეტს ფლობს საქართველოს სახელმწიფო და რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი.

აღნიშნულ ჩანაწერს იშველიებდა ხელისუფლება გასულ თვეებში იმის გარანტიად, რომ გაზსადენის სრულად გასხვისება არ მოხდებოდა და რომ მათ კანონი, მისი აქციების 25%-ზე მეტის გასხვისების უფლებას არც აძლევდა.

ჩახვაძის ინფორმაციით, „გაზისა და ნავთობის" შესახებ კანონში იგეგმება ცვლილება, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების 75%-იანი გარანტიის 50%-მდე ჩამოწევას გულისხმობს.

შესაბამისად, თუ აღნიშნული ცვლილება განხორციელდა, გაზსადენის აქციების 25%-ის ნაცვლად, მისი 50%-ის პრივატიზება მოხდება.

რაც შეეხება რკინიგზას, ჩახვაძის განცხადებით, ახლახან კრედიტი ავიღეთ, რომელიც აზერბაიჯანმა მოგვცა, რაც რკინიგზის ინფრასტრუქტურის განვითარებას უნდა მოხმარდეს, შესაბამისად, საქართველო არის სრულფასოვანი სატრანზიტო ქვეყანა ევროპასთან დამაკავშირებული.

— სომხეთში რკინიგზა არის რუსეთის მფლობელობაში. რუსული მხარე ღიად აცხადებს, რომ მათ აქვთ სურვილი, ასეთი დომინანტები იყვნენ საქართველოშიც, — განაცხადა გურამ ჩახვაძემ.

ედპ-ის წევრის თქმით, მოსახლეობამ უნდა იცოდეს მთავრობის გეგმა, რას ფიქრობს მთავრობა, როგორ აპირებს პრივატიზების განხორციელებას.

— ყველა ეს ობიექტი შეზღუდული შესაძლებლობების საზოგადოებაა, აქ არის საუბარი არა მარტო აქციაზე, არამედ წილზე. წილის არსებობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ საუბარია რკინიგზის და ენერგოობიექტების პრივატიზებაზე, — აღნიშნა ჩახვაძემ.

დეპუტატი უმრავლესობის იმ წევრებსაც გამოეხმაურა, რომლებიც აცხადებენ, რომ საკონტროლო პაკეტი რომელიმე უცხო ქვეყანას არ გადაეცემა და ისევ ქვეყანას დარჩება, ამის საკანონმდებლო გარანტიაა საჭირო, რომ ჩაიდოს.

მთავრობის მიერ მომზადებულ ცვლილებებზე ოპოზიციას და უმრავლესობას კამათი პარლამენტის უახლოეს სესიაზე მოუწევს.

## ბალათურიას შაშკინის გადაწყვეტილება მოეწონა

ნანა მიშელაშვილი




ქართული დასის ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ ერთი კონკრეტული სკოლის საკითხზე ისაუბრა, რომელიც გაუქმებას გადაურჩა.

ბალათურია ამჯერად განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინის გადაწყვეტილებას მიესალმა. ლაპარაკია მარტვილის რაიონის სოფელ ლეციცხვაიას სკოლაზე, რომელსაც ოპტიმიზაცია ემუქრებოდა. მოსწავლეთა რაოდენობა კი ამ სკოლაში 104-ია.

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, ეს სკოლა მისივე კურსდამთავრებულის, რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული გელა ჭედიას სახელს ატარებს. ასეთი გმირების სახელები კი ბავშვებისათვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს.

ბალათურიას განმარტებით, ეს სკოლა მთელ რაიონში მოწინავეა და მის მოსწავლეებს არაერთი ტურნირისა და შეჯიბრის პრიზი აქვთ აღებული. უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა მისი კურსდამთავრებულების 80 პროცენტი.

ჯონდი ბალათურიამ ისიც აღნიშნა, რომ ამ სკოლის გაუქმების შემთხვევაში მის მოსწავლეებს სხვა სკოლებში სასიარულოდ 7-8 კილომეტრის გავლა მოუწევდათ. მოსწავლეთა რაოდენობა კი ამ სკოლაში საკმაოდ არის.

სკოლის შენარჩუნების თხოვნით ბალათურიას ლეციცხვაიას 520-მა მცხოვრებმა მიმართა. ის კი განათლების სამინისტროს დაუკავშირდა.

— დიმიტრი შაშკინი ამ საკითხს გაგებით მოეკიდა და სკოლა გადარჩა. მინისტრის სწორ გადაწყვეტილებას მივესალმები. როგორც ჩანს, ამ სკოლის ოპტიმიზაციის საკითხის დასმა უნებლიე შეცდომა იყო. თუმცა განათლების სისტემაში ასეთი ხარვეზები ხშირია და მათ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, — აღნიშნა ჯონდი ბალათურიამ.

## სააკაშვილმა ყვარელში ვენახი იყიდა

თეა მარხვაი ე

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოპოზიციას ახალი სალაპარაკო თემა გაუჩინა. ურეიტინგოდ და უსაქმურად დარჩენილი ოპოზიცია ახლა იმის გარკვევას შეეცდება თუ როგორ და რატომ იყიდა მიხეილ სააკაშვილმა ვენახი ყვარელში. პრეზიდენტის ქონება ჩვენს ოპოზიციას ძალიან აინტერესებს.

ოპოზიციისთვის საინტერესო ინფორმაცია გუშინ გაჟღერდა. ჩვენმა პრეზიდენტმა ყვარელში, ვენახში ათ სტუდენტს უმასპინძლა. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ მას ვენახი უყიდია.

რაც შეეხება სტუდენტებს, პრეზიდენტთან სტუმრობა მათ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი შეფასების წყალობით დაიმსახურეს.

— თქვენ ხართ ჩვენი ხედვის წარმატების ნიშანი. თქვენ ყველაზე მაღალი ქულები მიიღეთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი მთავარი რეფორმის შედეგია. ხუთი წლის წინ მაღალი ქულებით ახალგაზრდები მიდიოდნენ საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტებზე. თქვენ კი, აირჩიეთ სწორედ ის პროფესიები, რომლებზეც ჩვენ ბოლო რამდენიმე წელია, მივუთითებთ ადამიანებს. ჩვენ გვჭირდება სპეციალისტები, თავად უნდა გამოვკვებოთ ჩვენი თავი და შევქმნათ ჩვენი ქვეყანა. დავიღალეთ იმით, რომ მცირე ტექნოლოგიისთვისაც კი სხვა ქვეყანაში - გერმანიაში, ჩინეთში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანშიც კი გვიხდება სირბილი, რადგან თავად ვერ ვაკეთებთ ამას. თქვენ — ათმა საუკეთესო სტუდენტმა ტექნიკური პროფესიები აირჩიეთ, რაც ნიშნავს, რომ სწორი მიმართულებით დავიწყეთ მოძრაობა, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტი სტუდენტებს თავის ვენახში ძალიან კარგად დაუხვდა. მან წარმატებულ ახალგაზრდებს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცა. ამის გარდა მათთან ერთად შეწვა მწვადი. შემწვარი მწვადი მათთან ერთადვე შეჭამა.

პრეზიდენტის შემწვარი მწვადისთვის გემოს გასინჯვის შანსი კიდევ ერთ ადამიანს ჰქონდა. თუმცა ბოლო მომენტში ქვეყნის პირველმა პირმა მისი დაპატიჟება გადაიფიქრა.

— ვფიქრობდი, კახა ბენდუქიძე დამეპატიჟებინა აქ, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ ჯობია, ჩვენ ვიყოთ, — უთხრა პრეზიდენტმა სტუდენტებს.

ჩვენი ოპოზიცია ყურადღების მიღმა არც მწვადის ამბავს დატოვებს. იტყვიან, რომ მწვადს მარილი აკლდა, ან კარგად არ იყო შემწვარი. ამის გამო რამდენიმე აქტივისტმა შესაძლოა პროტესტის ნიშნად შიმშილობაც კი დაიწყოს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, ყვარლის რაიონში ნახევარი ჰექტარი მიწა, სადაც ვენახია გაშენებული, პრეზიდენტმა 30.000 ლარად შეიძინა, სამი თვის წინ კი, სახლის მშენებლობაც დაიწყო.

ოპოზიცია სავარაუდოდ იმის გარკვევასაც შეეცდება თუ მერამდენე სახლია ეს პრეზიდენტისთვის. ამ ეტაპზე ისინი იმას არკვევენ რამდენი რეზიდენცია აიშენა მიხეილ სააკაშვილმა.

რეზიდენციებთან დაკავშირებით მასაც და ნაციონალებსაც პასუხი მზად აქვთ. ამბობენ, რომ ეს რეზიდენციები სააკაშვილმა თავისთვის კი არა, ქვეყნისთვის ააშენა.

# ლეიბორისტები პარლამენტის სხდომებს კვლავ არ დაესწრებიან

ნანა მიშელაშვილი

ლეიბორისტებმა პარლამენტს მორიგი წერილი გაუგზავნეს. დავით ბაქრაძის მისამართით გაგზავნილ წერილს ხელს 4 ლეიბორისტი — შალვა ნათელაშვილი, იოსებ შატბერაშვილი,



გიორგი გუგავა და კახა ძაგანია აწერენ.

— საქართველოს პარლამენტად წოდებულ სააკაშვილი-მერაბიშვილის კანტორის წევრები ურცხვად აგრძელებთ ხალხის ხარჯზე უზრუნველყოფილ, ფუფუნებაში ცხოვრებას. კერძოდ, მარტო წელიწა-დნახევრის განმავლობაში თქვენ მიერ საწვავით უზრუნველყოფაში დახარჯულია მილიონ-ნახევარი, სატელეფონო საუბრებში — 500 ათასი, მივლინებებში — 10 მილიონი, ხოლო სახელფასო უზრუნველყოფაში 15 მილიონი ლარი. ესეც არ იკმარეთ და მთელი ზაფხულის არდადეგები ასევე ბიუჯეტის ხარჯზე მსოფლიოს ფეშენებელურ კურორტზე გაატარეთ, ამჟამად ახალ ზელანდიაში ატარებთ დროს, — ნათქვამია ლეიბორისტების ბაქრაძის მისამართით გაგზავნილ წერილში.

ლეიბორისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ 4 კანონიერად არჩეულ ლეიბორისტს ურცხვად უთვლიან კუთვნილ ხელფასებს.

— ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ თქვენი სამარცხვინო სხდომების ბოიკოტს, ხოლო ჩვენს ჯიბეებში ჩამძვრალ ოპონენტებს მოვუწოდებთ, კარგად გაეცნონ მსოფლიო პარლამენტარიზმის პროცედურებს, რომელთა თანახმადაც პოლიტიკურ ბოიკოტში მყოფ დეპუტატებს მინიმუმ ხელფასი მაინც ეძლევა.

საშემოდგომო სესია კვლავ ლეიბორისტების გარეშე ჩაივლის. ამ მოწვევის პარლამენტი მუშაობას ალბათ ისე დაასრულებს, რომ 4 ლეიბორისტი სესიაზე არ შევა.

# ზვიად ყუშიტაშვილი: „სამართალდამცავები ჩემი 13 წლის გოგონას გაუპატიურებით მემუქრებოდნენ“

## ირაკლი ბათიაშვილი დიპლომატებისგან პასუხს ითხოვს

**„სახალხო კრების“ აღმსრულებელი საბჭოს წევრი ირაკლი ბათიაშვილი მოითხოვს, რომ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ ლიდერ ზვიად ყუშიტაშვილის შეხვდნენ და პირადად მისგან მოისმინონ ის ამბავი, რაც ამ უკანასკნელს ევროპის ქვეყნებში აქციების დაგეგმვის გამო გადახდა.**




როგორც ბათიაშვილმა გუშინ სასტუმრო „სიმპათიაში“ ყუშიტაშვილთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მას იმედი არ აქვს, რომ სამართალდამცველები „ქართველი ემიგრანტების“ დამფუძნებლის გატაცების ფაქტს სათანადოდ გამოიძიებენ.

— შს სამინისტრო ამ საქმეს არ გამოიძიებს, რადგან ეს ადამიანი მათმა თანამშრომლებმა გაიტაცეს. როგორც ვხედავთ, უკვე იმდენად გათავხედდნენ, რომ გატაცებულ ადამიანს მინისტრის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე ხვდება და თითს უქნევს, ასეთი რამ თავის დროზე ჰაიტის დიქტატორული რეჟიმის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# თამარ ჩხეიძე: „საქართველოში კონსტრუქციული ოპოზიცია არ არსებობს“

შორენა კოწოწაშვილი

ამ თემებზე ის „ახალ თაობას“ ესაუბრება.

*— რას იტყვით ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე და კურსზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა აირჩია?*

— პოლიტიკური ვითარება, რა თქმა უნდა, არასახარბიელოა. იმიტომ, რომ ტრადიციულად საიმედო პოლიტიკური ძალები, რომლებიც სიტუაციას განაგებენ, მე ვგულისხმობ როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას, სამწუხაროდ, არც ერთი მხარე ნდობას არ იმსახურებს. არც ერთი არ ეფუძნება სახელმწიფო ინტერესებს. ისინი გამოდიან მხოლოდ საკუთარი, ისიც არასწორად გაგებული ინტერესებიდან. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ქვეყანა მუდმივად იმყოფება საშიშროების ქვეშ.

*— რეალურად იკვეთება თუ არა თუნდაც მინიმალური დოზით დადებითი ტენდენციები ოპოზიციურ ფლანგზე? ითქვა, რომ საზოგადოებამ არჩევანი გააკეთა და მხარს კონსტრუქციულ ოპოზიციას უჭერს.*

— არ ვიცი, კონსტრუქციულ ძალებში ვინ იგულისხმება. იმიტომ, რომ მე ასეთს ვერ ვხედავ საქართველოში.

*— ალასანიას განცხადება იყო ამ კუთხით და ამით თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა გამოკვეთა, რომ საზოგადოება მასობრივად მხარს ჩვენ გვიჭერსო.*

— შეიძლება ალასანია გარკვეული თვალსაზრისით კონსტრუქციულად გამოიყურებოდეს სხვა ძალების ფონზე, მაგრამ მისი ზოგიერთი განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან არასაიმედოა. მე ვგულისხმობ იგივე რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს, აფხაზეთის საკითხს და ა.შ. ასე რომ, არც ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც დღეს ზედაპირზე ჩანს, არც ერთი ეს ძალა არ ამოდის სახელმწიფო ინტერესებიდან. ეს ოპოზიციური ძალები ყოველთვის ამოდიან თავიანთი პოლიტიკური ძალების რაღაც ინვესტიციების ინტერესებიდან, რომელიც განისაზღვრება გარეშე ძალების მითითებებით.

*— რადგან აფხაზეთი ახსენეთ, ხელისუფლების მტკიცებით, რუსეთისთვის სასურველი ფიგურა მოვიდა აფხაზეთის პრეზიდენტად. იგრძობა თუ არა რაიმე დადებითი ტენდენციები კონფლიქტურ ზონებთან მიმართებაში?*

— სხვათა შორის, აფხაზეთის არჩევნებთან დაკავშირებითაც ძალიან

**ეროვნული მო რაობის წარმომადგენელი თამრიკო ჩხეი ე უკმაყოფილოა იმ შეფასებებით და პოზიციებით, რომელიც რიგი ექსპერტებისა და გარკვეული ოპოზიციური პარტიების მხრიდან დაფიქსირდა. ჩხეი ე დაუშვებლად მიიჩნევს ამ არჩევნების შედეგების ცნობას და საერთოდ, აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების დემოკრატიულობას.**




საშიში ტენდენციები გამოიკვეთა ზოგიერთი პოლიტიკური ძალისა და ზოგიერთი ექსპერტის მხრიდან. განსაკუთრებით გამიკვირდა ახალი მემარჯვენეების განცხადება, რომელიც ფიქრია ჩიხრაძემ გააჟღერა. ახალი მემარჯვენეები მიესალმნენ არჩევნების შედეგად გამარჯვებულ კანდიდატს და თუ არ ვცდები, მისალოცი გაუგზავნეს, ყოველ შემთხვევაში, სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნეს და ძალიან თბილად მოიხსენიეს ახლად არჩეული ე.წ. პრეზიდენტი და გამოხატეს სურვილი, რომ რაღაც ახლებური ურთიერთობა დამყარდეს და ა.შ. ეს, მე პირადად, აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია. იმიტომ, რომ ის, რაც აფხაზეთში ჩატარდა, არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს ცნობილი, როგორც არჩევნები. მით უმეტეს, დემოკრატიულ არჩევნებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშინ, როცა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მასში არ მონაწილეობს აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. თავისთავად, ეს უკანონო ქმედებაა და ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ უკანონობას და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას რომელიმე ქართველი მიესალმოს და რომელიმე ქართველმა ამის გამო დადებითი ემოციები გამოხატოს. ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი. გარდა ამისა, ძალიან სასაცილოა ისიც, ზოგიერთი რომ ამბობდა, რუსეთმა თავის კანდიდატის გაყვანა ვერ შეძლო და ანქვაბი გავიდაო. მახსოვს, ბაღაფშის გასვლის დროსაც მსგავსი საუბრები იყო, თითქოს რუსეთს სხვა უნდოდა, გავიდა ბაღაფში, რიმელსაც ქართველი ცოლი ჰყავს და ეს ძალიან კარგია და ასეთი სისულელეები ისმოდა. ასეთი ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და სასაცილოც კი არის. იმიტომ, რომ რაც აფხაზეთში ჩატარდა, ამას არჩევნები საერთოდ არ ჰქვია. სასაცილოა იმის ლაპარაკი, აფხაზეთის პრეზიდენტად ვინმე გავიდოდა ისე, რომ ეს რუსეთისთვის მიუღებელი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, იქ გადის ის კანდიდატი, რომელსაც რუსეთი ნიშნავს. ჯერ ერთი, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იმ ანტიქართულ ძალებს შორის, სრულიად უკანონო და კრიმინალურ ძალებს შორის, რომელიც საქართველოსთან არიან დაპირისპირებული, რომელი გავიდოდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, გავიდოდა ის, რომელიც იმ მომენტისთვის რუსეთის მიერ იქნებოდა ხელდასხმული. დღეს რომ ქართველი პოლიტიკოსები რაღაც ილუზიებს ქმნიან, რომ იქ თურმე დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, ეს ძალიან გულისამრევი პროცესია.

*— რას იტყვით საერთო კავკასიური ენის იდეაზე, რომლის შესახებაც, როგორც უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის დავით დარჩიაშვილის კომენტარიდან გახდა ცნობილი, საქართველოს ერთ-ერთ ვალდებულებად სწორედ საერთო კავკასიური ენის ცნობის ვალდებულება აქვს და ეს ენა, როგორც ითქვა, აზერბაიჯანული ენა უნდა იყოს.*

— მე ამაზე ვერავითარ კომენტარს ვერ გავაკეთებ, იმიტომ, რომ არც მომისმენია და არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. რომელ საერთო კავკასიურ ენაზე შეიძლება ლაპარაკი, მით უმეტეს, აზერბაიჯანულზე?! ეს აბსოლუტური სისულელეა! მეტი ინფორმაცია მჭირდება, რომ ზუსტად ვიცოდე, რასთან გვაქვს საქმე.

# პარლამენტი ვენეციის კომისიის დასკვნას ელის

ნანა მიშელაშვილი




ქვეყანა ისევ ვენეციის კომისიის დასკვნის მოლოდინშია. ახალ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები ვენეციის კომისიაში გაიგზავნა. რას მოგვწერენ ვენეციის კომისიის ექსპერტები, ეს სულ მალე გახდება ცნობილი.

საარჩევნო კოდექსის ბედით პარლამენტის თავმჯდომარე დაინტერესდა. ბაქრაძემ ბიუროს სხდომაზე იკითხა, რა სამუშაო გასწია იმ სარედაქციო ჯგუფმა, რომელიც კოდექსზე მუშაობს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა განმარტა, რომ აგვისტოში, სარედაქციო ჯგუფმა 3 შეკრება გამართა, სადაც რამდენიმე საკითხი განიხილეს.

პავლე კუბლაშვილის განცხადებით, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი პარლამენტში მომავალ ორშაბათს, ბიუროს სხდომაზე იქნება ინიცირებული.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, კანონპროექტი ვენეციის კომისიაში 26 აგვისტოს გაიგზავნა. კუბლაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად ინიცირებისა, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტის განხილვა მას შემდეგ დაიწყება, რაც ვენეციის კომისიის დასკვნა ცნობილი გახდება.

კუბლაშვილის თქმითვე, ვენეციის კომისიაში გაგზავნილ კანონპროექტში ის საკითხებია ასახული, რაზეც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიმდინარე მოლაპარაკებისას შეთანხმება მოხდა.

ოქტომბრის დასაწყისში საქართველოში ჩამოვლენ ვენეციის კომისიის ექსპერტები და მათთან შეხვედრისა და მოსაზრებების გაცნობის საშუალება ყველა პოლიტიკურ ჯგუფს ექნება.

ლევან ვეფხვაძის თქმით, საარჩევნო კოდექსზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფის მუშაობისას, განხილვის არეალში ვერ მოხვდა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

— ასეთ საკითხებზე არის საინტერესო წინადადებები არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც. ასევე, თელავში არჩევნების პროცესმა გვიჩვენა ის ხარვეზები, რომელიც კიდევ ერთხელ უნდა გავიაროთ და ავსახოთ კოდექსში, — აღნიშნა ვეფხვაძემ.

ამდენად, ისევე, როგორც ყველა არჩევნების წინ, ქვეყანა ვენეციის კომისიის დასკვნის მოლოდინშია. რა რეკომენდაციებს მოგვცემს ვენეციის კომისია ეს ოქტომბერში გახდება ცნობილი.

# ქეთი მელუა თხოვდება

ეკა ირემაშვილი

ბრიტანეთში წლების წინ გადახვეწილი 27 წლის ქართველი მომღერალი ქეთი მელუა კარიერული წარმატების პარალელურად, უკვე აქტიურად ფიქრობს ოჯახის შექმნაზეც. პაპარაცების ობიექტივში უკვე მოხვდნენ ქართველი მომღერალი და მისი მეგობარი მამაკაცი 31 წლის ინგლისელი ჯეიმს ტოუზლენდი, რომელიც ცნობილი მოტომრბოლელია.

წყვილი უკვე რამდნიმე თვეა ერთმანეთს ხვდება და მათი ერთად სეირნობის ფოტოებიც ინტერნეტში მრავლად მოიპოვება. მათი დაახლოება ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ ჯეიმსი სუპერბაიკის ჩემპიონატების გამარჯვებების პარალელურად, აქტიურად არის გატაცებული მუსიკით — ის პიანისტი და მომღერალია. ქეთი მელუას რჩეულს თავისი ჯგუფიც ჰყავს და კონცერტებსაც აწყობს ხოლმე.

ქეთი მელუას რჩეული უკვე მასმედიის წარმომადგენლებსაც აღარ უმალავს, რომ ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ თავისი გულის რჩეული იპოვა. 31 წლის ჯეიმსმა არც ის დამალა, რომ ქეთი მელუას კონცერტზე დედაც წაიყვანა, რომელსაც თავისი რჩეული პირადად გააცნო. მართალია, წყვილი ჯერ არ საუბრობს, იგეგმება თუ არა მათი გრძნობების უფრო სერიოზულ კონტექსტში გადაყვანა და ჯვრისწერითა და ქორწილით დაგვირგვინება, მაგრამ ის ფაქტია, რომ ამჟამად ერთად თავს კარგად გრძნობენ.

ქეთი მელუა წარმოშობით ქუთაისელია, თუმცა ბავშვობის წლები თბილისში აქვს გატარებული. მოგვიანებით ოჯახი ბათუმშიც ცხოვრობდა, თუმცა საქართველოს სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, ისინი საცხოვრებლად საზღვარგარეთ წავიდნენ. ქეთი სხვადასხვა პროფესიებზე ოცნებობდა, მაგრამ 15 წლის ასაკში ერთ-ერთ საბავშვო არხზე გამართულ კონკურსში გამარჯვებამ, მისი მომავალი საბოლოოდ და თანაც რადიკალურად შეცვალა. ცნობილია, რომ ქართველი მომღერალი ქეთი მელუა ბრიტანეთის დედოფლის ერთ-ერთ საყვარელ მომღერლად არის მიჩნეული. ქეთი ბრიტანეთის ხელოვანთა სასწავლებელში სწავლობდა, სწორედ იქ დაიწყო სიმღერების წერა და მაშინ შეხვდა თავის მომავალ მენეჯერსა და პროდიუსერს მაიკ ბეტს. ქართველ მომღერალს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა აღარ გაუგრძელებია, თუმცა აღნიშნავს, რომ ძალიან უნდა უმაღლესი განათლება მიიღოს. მისი ინტერესის სფეროებია ინგლისური ლიტერატურა, ისტორია და ფიზიკა, თუმცა ამჟამად მხოლოდ მუსიკითა და ჯეიმს ტოუზლენდით არის გატაცებული.




პირად ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების პარალელურად, ქეთი მელუა ახალ ალბომსაც წერს, რომელსაც „საიდუმლო სიმფონია“ უწოდა. ალბომში შევა უკვე ნამღერი მუსიკალური კომპოზიციები, რომელიც ქეთისეული ინტერპრეტაციით იქნება წარმოდგენილი. უკვე ცნობილია, რომ ალბომს მუსიკალურად მაიკ ბიტის სიმფონიური ორკესტრი გააფორმებს.

— ყოველთვის მინდოდა რაიმე მსგავსი გამეკეთებინა. ვთვლი, რომ ეს ნამდვილად ორიგინალურია. სხვისი სიმღერების შესრულება ხმის ახალ შესაძლებლობებს ავლენს. იდეა ისეთი სიმღერების მოძიება იყო, რომელიც დიდებულმა ადამიანებმა დაწერეს, — განუცხადა ქეთი მელუამ უცხოური პრესის წარმომადგენლებს.

ქართველი მომღერალი ქეთი მელუა ახალ ალბომს განსაკუთრებული პასუხისმგელობით ეკიდება და ნერვიულობს კიდეც, რადგან იცის, რომ მის ახალ ალბომზე თავის აზრს ყველა მელომანი გამოთქვამს.

— ეს ალბომი ჩემთვის ნამდვილად განსაკუთრებულია, ამიტომაც ვნერვიულობ. ვიცი, რომ როდესაც მუსიკას უსმენ, შენთვის კონკრეტულ სიმღერასთან კონკრეტული გრძნობა ასოცირდება. ამიტომ არის, რომ ყველა ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს ერთსა და იმავე მუსიკას. როცა მუსიკას ვწერ, ყოლველთვის იმ წუთას განცდილს ვწერ და შემდეგ უკვე ხშირად აღარ მახსოვს, რას ეძღვნება ჩემი სიმღერები. ამ ალბომს კი ყველა იმ მელომანის საუკეთესო მოგონებებს და წუთებს ვუძღვნი, რომელიც მათ ჩემს ახალ კრებულში შემავალი მუსიკალური კომპოზიციების მოსმენისას გონებაში ამოუტივტივდებათ, — განაცხადა ქეთი მელუამ.

# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

14 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისში უკვე მესამედ ჩატარდება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში საზეიმოდ გაიხსნება. ფესტივალის პირველ დღეს წარმოდგენილი იქნება რეჟისორ მაიკლ შტურმინგერის სპექტაკლი „ჯოჯოხეთური კომედია — სერიული მკვლელის აღსარებანი“, სადაც მთავარ როლს ცნობილი მსახიობი ჯონ მალკოვიჩი თამაშობს. სპექტაკლზე დასასწრები ბილეთები 250, 140 და 98 ლარია. როგორც მარჯანიშვილის თეატრის სალაროში გვითხრეს, სპექტაკლზე დასასწრები რეკორდული სისწრაფით გაიყიდა და ახლა მხოლოდ 250-ლარიანი რამდენიმე ბილეთიღაა დარჩენილი.



ფესტივალის აქტიური მხარდამჭერი დედაქალაქის მერიაა. მათი ცნობით, ქართული თეატრისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით „თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი“ წელს კიდევ უფრო გრანდიოზული, მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება. წლევანდელი საფესტივალო ღონისძიებები სამი ნაწილისაგან შედგება — ქართული სპექტაკლების პროგრამა, საერთაშორისო პროგრამა და ვორქშოფები, გამოფენები და სემინარები. საერთაშორისო პროგრამას დაემატა მიმართულება „ნიუ“ (ახალი), რომელიც კონკურსის საფუძველზე ახალგაზრდა დასებისა და ახალი კომპანიების აღმოჩენასა და მათ საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენას ითვალისწინებს. საერთაშორისო პროგრამა ავსტრიის, იაპონიის, უკრაინის, ლიტვის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის, გერმანიის, სომხეთის, ხორვატიის, ინდოეთის, ირანის, კორეის, სლოვენიის, ნიდერლანდების, ჩინეთის, შვეიცარიის, რუსეთის თეატრალურ და საბალეტო დასებს სამი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს.

ქართული სპექტაკლების პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა თეატრი 2010-2011 წლის პროდუქციას წარმოადგენს. მთლიანობაში გათამაშებული იქნება 33 სპექტაკლი. ფესტივალი, რომელიც თბილისის მერიის ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, 26 დღეს გასტანს.

— 21-ე საუკუნე გამორჩეული კულტურის საზღვრების გაფართოებითა და მეტი ინტერნაციონალიზაციით. ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ფესტივალებს უკავია — ფესტივალები კულტურული თანამშრომლობისა და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა. თეატრალური ფესტივალი ყველა ქვეყნისათვის განსაკუთრებული პრივილეგია და ფუფუნებაა — არა მხოლოდ ფინანსური, არამედ შემოქმედებითი ფუფუნება. ფესტივალი, განსაკუთრებით წარმატების შემთხვევაში, კულტურულ ცხოვრებას აცოცხლებს, პროფესიონალებისათვის კი იგი ერთგვარი ტრანსფერ ცენტრია, რომელსაც ახალი შემოქმედებითი პოტენციალით ტუმბავს ატმოსფეროს, ქმნის განვითარების, წარმოდგენის ახალ პერსპექტივას. ფესტივალი როგორც წესი, ქალაქის კულტურულ პოტენციალს აკავშირებს და აერთიანებს და ამითი მაყურებელს, მოსახლეობას საკუთარ ქალაქზე და ქვეყანაზე ახალ პერსპექტივას უქმნის კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. მთავარია, როგორი იქნება ფესტივალი, რას მისცემს იგი თბილისს, თბილისის იმ ლეგენდას და მითს, რომლის ხიბლი დიდად განსაზღვრავს საერთაშორისო სამყაროს დაინტერესებას ფესტივალის მიმართ, რას მისცემს ფესტივალი პროფესიონალებს, თეატრს შემოქმედებითად და პერსპექტივით, — აცხადებს ფესტივალის დირექტორი ეკა მაზმიშვილი.

ფესტივალის მისიაა — ფესტივალის პროფესიონალებისათვის ფესტივალი საოცნებო უნდა გახდეს, ხოლო მაყურელისათვის განსაკუთრებული მოვლენა, განსხვავებული, არაორდინარული ცხოვრების შესაძლებლობა, საქართველოსათვის — კი სავიზიტო ბარათი სამყაროში. ფესტივალის მიზანი ქართული თეატრისა და კულტურის, თბილისისა და საქართველოს პოპულარიზაციაა მსოფლიო კულტურული და ინტელექტუალური ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების რიგში.

— ჩვენ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში ვცხოვრობთ. დრო აჩქარდა, უამრავ საზრუნავს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი, უმეტესად კი ნეგატიური ინფორმაციაც ემატება. კითხვები სამყაროსა და ცხოვრების მიმართ უფრო მეტი გვიჩნდება, ვიდრე უნდა გვქონდეს კაცობრიობის აზროვნების მრავალსაუკუნოვანი განვითარების, დასკვნებისა და ისტორიის მიუხედავად. თუმცა ადამიანის სწრაფვა საკუთარი თავის შეცნობისაკენ მუდმივია ყველა დროსა და საუკუნეში; მისი ლტოლვა ბედნიებისაკენ კი — შეუჩერებელი. ადამიანი, საბოლოო ჯამში, არასდროს თვლის ცხოვრებას ამაოებად და ყველა კითხვაზე მუდმივად ეძებს პასუხს. მას უნდა უკეთესი გახდეს. ვფიქრობ, ფესტივალის დანიშნულებაც საზოგადოებისა და ინდივიდის მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემა ან მცდელობა მაინც უნდა იყოს, დებატების, დისკუსიის გამოწვევის შესაძ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

SMS-განცხადებები - 3090

● ექიმი და იურისტი ცოლ-ქმარი, უპატრონებენ უცხოეთში წამსვლელების ბინას, შიგ ცხოვრებით, ვართ სერიოზული ადამიანები. ტელ.: 599-49-84-23. ნანა.
● იყიდება ბინა ვაკის აუზების მიმდებარე ტერიტორიაზე, 196 კვადრატი, თეთრი კარკასი. ფასი 170 000 დოლარი. ტელ.: 551-21-11-18.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

# ბაია გალიდერდა

**სპარტაკი — ბაია 1:2**
**თბილისი. მიხეილ მესხი. 599 მაყურებელი**
*0:1, 0:2 გუგუჩია (16, 53), 1:2 ჯიქია (57)*

**სპარტაკი:** ძაგანია, ფრიდოლინი, ლომაია, ციმაკურიძე, კილასონია (ნ.მაისურაძე 55), თ.შონია, ხუბუა, თიბილაშვილი (დ.გელაშვილი 80), შალამბერიძე, ჯიქია, მეტრეველი

**ბაია:** სომხიშვილი, აფაქიძე, მგელაძე, ნ.შონია, აკობია, რიგვავა, გუგუჩია (პაჭკორია 85), ტყემალაძე, წურწუმია (შ.ლომია 70), ეხვაია (სიხარულია 64), ქობალია

**გაძევება:** აკობია (82)

ოპაა... ვინ იფიქრებდა, რომ ჩემპიონატის დაწყებიდან 5 ტურის თავზე სატურნირო ცხრილის სათავეში ზუგდიდის „ბაია“ იქნებოდა. არადა, ასეა! ზუგდიდელები მეხუთე ტურის ბოლო მატჩში თბილისში ესტუმრნენ ცხინვალის „სპარტაკს“, რომლის საშინაო არენად მიხეილ მესხის სტადიონი იქცა და დამსახურებული 3 ქულით დაბრუნდნენ შინ.



პირველ ტაიმში მასპინძლებმა აქტიურად კი დაიწყეს, მაგრამ ზუგდიდელებმა მათი შეტევები იოლად მოიგერიეს და უკვე თავად დაიწყეს მეტოქის კარის გასაღების ძებნა, რაც საკმაოდ მალე მოახერხეს.

მე-19 წუთზე მასპინძლებმა საჯარიმოსთან წესი დაარღვიეს. „ბაიას“ ნახევარმცველმა ლუკა გუგუჩიამ კარგად შეასრულა და მეკარე ლაშა ძაგანიას დაუცველი ახლო კუთხე მოუძებნა — 0:1.

გაშვებული გოლის შემდეგ „სპარტაკმა“ ვითარების გამოსწორება სცადა, მაგრამ მათ თამაშს ორგანიზებულობა აკლდა და ზუგდიდელთა დაცვას ვერაფერს უხერხებდა. ასე წვალებ-წვალებაში გაილია პირველი ტაიმი.

მასპინძლებმა მეორე ტაიმი უკეთ დაიწყეს, მაგრამ მათი მცდელობის მიუხედავად, გოლი ზუგდიდელებმა გაიტანეს. 53-ე წუთზე გუგუჩიამ მეორე საჯარიმოც ულამაზეს გოლად აქცია — 0:2.

ამის შემდეგ მატჩი კიდევ უფრო დაიძაბა, ორივე გუნდი ხისტად თამაშობდა, რის გამოც მეტოქეები ორჯერ წაკინკლავდნენ, მაგრამ სერიოზულ ჩხუბამდე საქმე არ მისულა, თუმცა ერთ-ერთ მომენტში მსაჯის მიმართ აშკარად იზედმეტა ლევან აკობიამ, რაც წითელ ბარათად დაუჯდა. ამის გარდა, მსაჯს რვაჯერ მოუხდა ჯიბიდან ყვითელი ბარათის ამოღება.

„სპარტაკმა“ ანგარიშში სხვაობა მაინც შეამცირა — 57-ე წუთზე მასპინძლებმა სწრაფად შეუტიეს, საჯარიმოში ზვიად მეტრეველმა მშვენიერი პასით მეკარესთან პირისპირ რევაზ ჯიქია დატოვა, რომელმაც სომხიშვილს შანსი არ დაუტოვა — 1:2.

„სპარტაკმა“ კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეუტია, მაგრამ დაცვა მოაშიშვლა და ზუგდიდელებს რამდენჯერმე შეეძლოთ ეხეირათ.

62-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ ირაკლი ქობალია დარჩა, მაგრამ მახვილი კუთხიდან დარტყმას მოერიდა და ბურთი ლევან წურწუმიას გადააწოდა, რომლის დარტყმაც ძაგანიამ მოიგერია.

„სპარტაკში“ განსაკუთრებით მეტრეველი აქტიურობდა: 67-ე წუთზე „სპარტაკის“ მცველმა „ბაიას“ მცველები ცრუ მოძრაობით ჩამოიტოვა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და დაარტყა, მაგრამ მეკარე გიორგი სომხიშვილმა ჩინებული რეაქცია გამოავლინა.

82-ე წუთზე „ბაია“ კაცნაკლული დარჩა — ლაინსმენმა მთავარ არბიტრს აცნობა, რომ ლევან აკობიამ შეაგინა. მთავარმა არბიტრმა ალექსანდრე კრიჭაშვილმა ზუგდიდელთა მცველს პირდაპირ წითელი ბარათი აუფრიალა და მოედნიდან გააძევა.

„სპარტაკმა“ იგრძნო რიცხობრივი უპირატესობა და კიდევ უფრო აგრესიულად შეუტია. 84-ე წუთზე საჯარიმოში კობა შალამბერიძე კარგ პოზიციაზე აღმოჩნდა და კარშიც დაარტყა, მაგრამ ბურთს მცველი გადაეფარა. ცხინვალელთა აზრით, ამ ეპიზოდში ზუგდიდელმა უკანახაზელმა ბურთი ხელით მოიგერია. სპარტაკელები პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ, მაგრამ მათ პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია.

ზუგდიდელებმა მორიგი კონტრშეტევა განახორციელეს და ისევ გუგუჩიამ სცადა გატანა, მაგრამ ძაგანიამ ამჯერად საიმედოდ ითამაშა.

მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში კი ზვიად სიხარულიამ მშვენივრად ითამაშა, მცველი კარგად გააცურა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

საბოლოოდ, ზუგდიდელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს და ეროვნული ჩემპიონატის ცხრილს სათავეში მოექცნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაია | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| 2.დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| 3.გაგრა | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| 4.ზესტაფონი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| 5.მეტალურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| 6.მერანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| 7.ტორპედო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| 8.კოლხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| 9.ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| 10.დილა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| 11.სპარტაკი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | 2 |
| 12.სიონი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |

**ბომბარდირები:**

ლუკა გუგუჩია (ბაია), შალვა კვანტალიანი (გაგრა), ჩისკო (დინამო) — 3-3 ბურთი.

# ეროვნული არ ისვენებს

მართალია სარაგბო სამყაროს ყურადღება მსოფლიოს თასისკენ არის მიმართული, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის დავიწყებაც არ შეიძლება, რომელიც მართლაც საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს.

მეორე წრის მეორე ტურის ცენტრალური მატჩი ავჭალაში გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს „ლელო“ და „ლოკომოტივი“ ხვდებოდნენ. თბილისურ დერბიში დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი და ასეც მოხდა.

მატჩი რკინიგზელთა სრული უპირატესობით დაიწყო და რაც უნდოდათ, მოედანზე იმას აკეთებდნენ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ლოკომოტივის“ შერკინებამ, რომელსაც თავიანთი ვიზავები აშკარად დაჩაგრული ჰყავდა. აქედან გამომდინარე, საწყისი 40 წუთის შემდეგ საკმაოდ კომფორტული უპირატესობაც შეიქმნეს — 22:3.

როგორც ჩანს, ამ უპირატესობამ რკინიგზელებზე ცუდად იმოქმედა, რადგან მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა, ლელოელები კი პირიქით, ძალიან გააქტიურდნენ და თამაში საგრძნობლად დაალაგეს, თუმცა, პირველ ტაიმში გაქცეულ მეტოქეს ვერ დაეწივნენ. საბოლოოდ გამარჯვება „ლოკომოტივს“ დარჩა 25:20.

ქუთაისის „აიამ“ მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და ლიდერობა შეინარჩუნა. იმერლებმა თბილისის აკადემიას ფოთში უმასპინძლეს და 33:7 სძლიეს.

საუკეთესო ოთხეულში მოხვედრისა და პლეი ოფის საგზურის მოპოვების საკმაოდ კარგი შანსი აქვს არმიას, რომელმაც სტუმრად რუსთავში, „ხარებს“ 34:13 აჯობა. ორი საფეხურით წაიწია წინ აწ უკვე მეოთხე ადგილზე მყოფმა „არმაზმა“. ამ გუნდმა „ყოჩები“ დაჩაგრა — 23:3.

**გათამაშების ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 9 | 9 | 0 | 0 | 244:103 | 18 |
| 2.არმია | 9 | 6 | 1 | 2 | 210:153 | 13 |
| 3.ლოკომოტივი | 9 | 5 | 0 | 4 | 178:168 | 10 |
| 4.არმაზი | 9 | 4 | 1 | 4 | 181:187 | 9 |
| 5.აკადემია | 9 | 3 | 3 | 3 | 169:187 | 9 |
| 6.ლელო | 9 | 4 | 0 | 5 | 215:189 | 8 |
| 7.ხარები | 9 | 2 | 0 | 7 | 98:196 | 4 |
| 8.ყოჩები | 9 | 0 | 1 | 8 | 120:232 | 1 |

# ევროპა თბილისში ჩამოვა

სტამბოლში გაიმართა ფილას (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) კონგრესი, რომელსაც 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა უნდა დაესახელებინა. მასპინძლობის პრეტენზია თბილისსაც ჰქონდა. ყველა ქვეყანამ, მათ შორის საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობამ დამსწრეთ სპეციალურად დამზადებული სარეკლამო კლიპი წარუდგინა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ევროპის 2013 წლის ჩემპიონატს თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

საქართველოს დედაქალაქი ოფიციალურ მასპინძლად მომავალ წელს ფილას კონგრესზე გამოცხადდება, თუმცა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს და სავარაუდოდ აღარაფერი შეიცვლება.

— პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა. დამსწრეთ თბილისის მიმოხილვა შევთავაზეთ. ვუჩვენეთ, რამდენად მიმზიდველია ჩვენი დედაქალაქი და მთლიანად ჩვენი ქვეყანა ტურისტებისთვის. კლიპმა დიდი მოწონება დაიმსახურა და ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი ჩვენს წარდგინებას. ასე რომ, 2013 წლისთვის უნდა მოვემზადოთ. არა მგონია რამე შეიცვალოს. ცხადია, სხვა ქვეყნებსაც სურდათ მასპინძლობა, მაგრამ ამ კონგრესზე გადაწყდა, რომ ერთადერთი კანდიდატი თბილისი იქნება, — განაცხადა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ.

# ფერგიუსონი: ასეთ სტარტს არ ველოდი

მიმდინარე პრემიერლიგის სტრატი შესანიშნავად დაიწყო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და ერთი საინტერესო რეკორდი დაამყარა. „წითელი ეშმაკები“ პირველები არიან, ვინც ინგლისის პრემიერლიგის საწყის ოთხ ტურში 18-ჯერ აიღეს მეტოქის კარი. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა „ვესტ ბრომვიჩი“ (2:1), „ტოტენჰემი“ (3:0), „არსენალი“ (8:2) და „ბოლტონი“ (5:0) დაამარცხა.



ცნობისათვის, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისის პრემიერლიგის მე-5 ტურში „ოლდ ტრაფორდზე“ ლონდონის „ჩელსის“ დაუპირისპირდება.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა აღიარა, რომ თავისი გუნდის მხრიდან პრემიერლიგაში მსგავს წარმატებულ სტარტს არ ელოდა.

— როდესაც პრემიერლიგის 2011-12 წლის კალენდარი პირველად დავინახე, მომეჩვენა, რომ ჩვენს ბიჭებს დასაწყისში გაუჭირდებოდათ, მაგრამ კარგი ტემპი ავიღეთ. წინ ძალიან რთული მატჩები გველის. ოთხშაბათს ლისაბონში „ბენფიკასთან“ სათამაშოდ მივდივართ, უკვე კვირას კი პრემიერლიგაში „ჩელსის“ ვმასპინძლობთ, — განაცხადა ფერგიუსონმა.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩი „ბენფიკა“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ოთხშაბათს, 14 სექტემბერს გაიმართება.

# „სოხუმმა“ ბალტიაში პირველი თამაში გამართა

საკალათბურთო კლუბი „სოხუმი“ ევროჩელენჯის ტურნირისთვის მზადებას ბალტიისპირეთში რომ გაივლის, ეს უკვე გამცნეთ. გეტყვით იმასაც, რომ სოხუმელებმა პირველი საკონტროლო მატჩიც გამართეს.

11 სექტემბერს კლაიპედაში „სოხუმმა“ ანგარიშით 67:83 წააგო რუსეთის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბ ლიბერცის „ტრიუმფთან“. პირველი მეოთხედი „სოხუმის“ სასარგებლოდ წარიმართა, გუნდს ანგარიშში 6-8 ქულიანი სხვაობით მიჰყავდა. მეორე პერიოდიდან „ტრიუმფის“ მოთამაშეებმა, რომლებისთვისაც დღევანდელი თამაში რიგით მე-14 იყო ბალტიაში შეკრებაზე, ინიციატივა ხელში ჩაიგდეს. „სოხუმისთვის“ კი მატჩი „ტრიუმფთან“ პირველი თამაში იყო ამ სეზონში.

მატჩის შემდეგ „სოხუმის“ მთავარმა მწვრთნელმა აინარს ბაგატსკისმა განაცხადა:

— ჩვენი მეტოქე თვეზე მეტია ატარებს ამხანაგურ შეხვედრებს, გუნდი უკვე შეთამაშებულია და ეს გამოჩნდა დღევანდელ შეხვედრაში. ჩვენთვის კი ეს ამ სეზონში პირველი თამაში იყო, მით უმეტეს, თბილისიდან ლიტვაში დამღლელი ღამის გადაფრენისა და ავტობუსით 4 საათიანი მგზავრობის შემდეგ. ჩვენი გუნდის შემადგენლობა ახლა იწყებს შეთამაშებას — „სოხუმის“ მოთამაშეების უმეტესობა კლუბის დებიუტანტები არიან და ერთად ჯერ არც ერთი მატჩი არ უთამაშიათ. ლიტვაში უახლოეს დღეებში ჩვენ კიდევ 2 თამაშს ჩავატარებთ, ხოლო ლატვიაში — სამ თამაშს. ეს შეკრება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროჩელენჯისა და საქართველოს სუპერლიგის მატჩებისთვის მომზადების კუთხით.

13 სექტემბერს „სოხუმს“ შეუერთდება ლაშა ფარღალავა, რომელიც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ლიტვაში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობს.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**
ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი ........ 0:1
ფულემი-ბლექბერნი ........ 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**
ბირმინგემი-მილუოლი ........ 3:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**
ბეტისი-მალიორკა ........ 1:0
რასინგი-ლევანტე ........ 0:0
ოსასუნა-ხიხონი ........ 2:1
რაიო-სარაგოსა ........ 0:0
ესპანიოლი-ბილბაო ........ 2:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**
სელტა-ელჩე ........ 1:2
ბარსელონა ბ-დეპორტივო ........ 2:3
ხირონა-ვალიადოლიდი ........ 1:1
ხიმნასტიკი-ლას პალმასი ........ 1:3

**იტალია. სერია ა**
იუვენტუსი-პარმა ........ 4:1
ჯენოა-ატალანტა ........ 2:2
კატანია-სიენა ........ 0:0
კიევო-ნოვარა ........ 2:2
ლეჩე-უდინეზე ........ 0:2
რომა-კალიარი ........ 1:2
ფიორენტინა-ბოლონია ........ 2:0
პალერმო-ინტერი ........ 4:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**
კიოლნი-ნიურნბერგი ........ 1:2
ვოლფსბურგი-შალკე ........ 2:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**
ზანკტ პაული-მიუნხენ 1860 ........ 4:2
უნიონი-ინგოლშტადი ........ 4:1
ფრანკფურტი-აუე ........ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**
მონპელიე-ნიცა ........ 1:0
ნანსი-ოსერი ........ 0:0
პსჟ-ბრესტი ........ 1:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**
ჰერენვენი-გრონინგენი ........ 3:0
ბრედა-ფეიენოორდი ........ 1:3
ვენლო-პსვ ........ 3:3
ექსელსიორი-უტრეხტი ........ 2:3

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**
ვოლენდამი-კამბური ........ 1:4

**პორტუგალია. ა ლიგა**
ბეირა მარი-ლეირია ........ 0:1
ოლჰანენსე-ფეირენსე ........ 1:2
ბრაგა-ჟილ ვისენტე ........ 3:1
მარიტიმუ-რიუ ავე ........ 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**
ამკარი-სპარტაკი ........ 0:1
ნალჩიკი-როსტოვი ........ 0:1
კრ.სოვეტოვი-ტომი ........ 2:0
ანჟი-ვოლგა ........ 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
ჰიბერნიანი-აბერდინი ........ 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
ნოიშტადი-აუსტრია ........ 1:1

**ბელგია. პროლიგა**
ანდერლეხტი-კორტრაიკი ........ 2:0
მეხელენ-ბრიუგე ........ 1:2
ვარეგემი-გენტი ........ 1:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**
ქსამაქსი-გრასჰოპერსი ........ 2:0
ლოზანა-იანგ ბოიზი ........ 0:3
თუნი-სიონი ........ 0:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**
ასტერასი-კერკირა ........ 0:0
არისი-ატრომიტოსი ........ 0:1
პანათინაისკოსი-იანინა ........ 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**
ბურსა-კაისერი ........ 3:0
ქარაბუქი-სივასი ........ 2:1
ანთალია-გაზიანთეპი ........ 1:0
ისტამბული-გალათასარაი ........ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**
ტეოლიცე-პრჟიბრჟამი ........ 2:1
ბუდეოვიც-ბანიკი ........ 0:0
იაბლონეცი-სლავია ........ 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**
კრაკოვია-ლოძი ........ 0:1
იაგელოანია-ბიტომი ........ 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**
ზარია-დნიპრო ........ 2:0
ობოლონი-მეტალურგი(დ) ........ 0:1
დინამო-ილიჩევეცი ........ 3:1

**დანია. სასლიგა**
ოლბორგი-ნორდსიელანდი ........ 1:2
სონდერიისკე-ჰორსენსი ........ 1:3
ბრონდბიუ-კიოგე ........ 5:0

**შვედეთი. ალსვენსკა**
სირიანსკა-კალმარი ........ 2:1
გიოტებორგი-მალმიო ........ 0:0
დიურგარდენი-ტრელებორგი ........ 4:3

**ნორვეგია. ელიტსერია**
ვალერენგა-სტარტი ........ 2:1
ოდ გრელანდი-ფრედრიკსტადი ........ 2:1
სონგდალი-ალესუნდი ........ 0:0
ჰაუგესუნდი-ლილესტრიომი ........ 2:0
მიოლდე-ბრანი ........ 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**
ჯჯკ-მიუპა ........ 4:0
ვაასა-ტპს ........ 3:2
მარიეჰამნი-როვანიემი ........ 5:2
იარო-ჰაკა ........ 1:1

**ბრაზილია. სერია ა**
კურიტიბა-ბოტაფოგო ........ 5:0
პალმერასი-ინტერნასიონალი ........ 0:3
სეარა-ატლეტიკო(გ) ........ 1:1
ფიგუირენსე-ვასკუ ........ 1:1
ფლუმინენსე-კორინთიანსი ........ 1:0
ატლეტიკო(მ)-ბაია ........ 2:0
ფლამენგო-ატლეტიკო(პ) ........ 1:2
გრემიო-სან პაულუ ........ 1:0

**არგენტინა. აპერტურა**
ბანფილდი-არსენალი ........ 0:1
ბელგრანო-ინდეპენდიენტე ........ 2:0
ბოკა-სან მარტინი ........ 1:0
ველეჟი-უნიონი ........ 0:1

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**
თურქეთი სერბეთი ........ 67:68
ესპანეთი-საფრანგეთი ........ 96:69
ლიტვა-გერმანია ........ 84:75

**ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი**

**კაცები**
გერმანია-სლოვაკეთი ........ 1:3
რუსეთი-პორტუგალია ........ 3:1
საფრანგეთი-ბელგია ........ 1:3
ბულგარეთი-პოლონეთი ........ 3:1
იტალია-ფინეთი ........ 3:0
ჩეხეთი-ესტონეთი ........ 3:0
ავსტრია-თურქეთი ........ 0:3

**საერთაშორისო ტურნირი**

**ქალები**
ხორვატია-სლოვაკეთი ........ 3:0
პოლონეთი-რუსეთი ........ 2:3
იტალია-სერბეთი ........ 3:0
თურქეთი-გერმანია ........ 3:2

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**ქალები**

**ფინალი**
სტოსური-უილიამსი ს. ........ 6:2;6:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

შედით საიტზე atb.ge

## დღის კალენდარი

### 13 სექტემბრისთვის



წლის 256-ე დღე,
ახალ წლამდე დარჩა 109 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

მე-14 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. სამშაბათი

დადება პატიოსნისა სარტყელისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობლისა (395-408); მღვდელმოწამისა კვიპრიანესი, კართაგენელი ეპისკოპოსისა (258); გენადისი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (471).

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პატიოსანი სარტყელის დადება კონსტანტინეპოლის ვლაქერნის ტაძარში მოხდა იმპერატორ არკადის დროს. მანამდე წმიდა სარტყელი, რომელიც თომას ჩააბარა თავად ღვთისმშობელმა, მისი მიძინების შემდეგ მართლმორწმუნე ქრისტიანებთან ინახებოდა იერუსალიმში. იმპერატორ ლევ ბრძენის დროს სარტყელმა განკურნა მისი მეუღლე ზოია. ღვთისმშობლის წმიდა სარტყელის ნაწილები დასვენებულია ათონის ვატოპედის მონასტერში, ტრირის მონასტერში და საქართველოში.

მღვდელმოწამე კიპრიანე, კართაგენელი ეპისკოპოსი, დაიბადა დაახლოებით 200 წელს ქალაქ კართაგენში, სადაც მთელი სიცოცხლე გაატარა. მღვდელმთავარმა კიპრიანე კართაგენელმა ეკლესიას დიდი საუნჯე დაუტოვა: თავისი ნაწარმოებები და 80 წიგნი.

წმიდა გენადი კონსტანტინეპოლელი პატრიარქი კონსტანტინეპოლის ეკლესიის ტახტზე 458 წელს აირჩიეს მართლმორწმუნე მეფე ლევ დიდის დროს. მის ცხოვრებაზე მოგვითხრობს წიგნი „სულიერი მდელო“. წმიდა გენადის პატრიარქობის დროს კონსტანტინოპოლში აშენდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. მღვდელმთავარი გენადი კონსტანტინოპოლის ეკლესიას 13 წელიწადს უძღვებოდა. იგი გარდაიცვალა 471 წელს.

**დაიბადნენ:**

1838 — ელიოზ მიზანდარი, პიანისტი, კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1912 წელს.

1886 — რობერტ რობინსონი, ინგლისელი ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1975 წელს.

1876 — შერვუდ ანდერსონი, ამერიკელი მწერალი.

1894 — ჯონ პრისტლი, ინგლისელი მწერალი.

1889 — პიერ რევერი, ფრანგი პოეტი.

1920 — ლეო გაბუნია, პალეონტოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 2004 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1321 — დანტე ალიგიერი, შუა საუკუნეების დიდი იტალიელი პოეტი და ფილოსოფოსი.

1506 — ანდრეა მანტენია, ადრინდელი აღორძინების ხანის იტალიელი ფერმწერი და გრავიორი.

1872 — ლუდვიგ ფოიერბახი, გერმანელი ფილოსოფოსი.

**მოვლენები:**

1788 — ნიუ-იორკი აშშ-ს დედაქალაქი გახდა.

1795 — საქართველოს შემოესია აღა-მაჰმად ხანი.

1866 — მოსკოვში კონსერვატორია გაიხსნა.

1922 — თურქეთის ქალაქი სმირნა ცეცხლმა გაანადგურა, დაიღუპა ათასობით ადამიანი.

1959 — საბჭოთა კოსმოსური რაკეტა ლუნა-2„ პირველად დაჯდა მთვარეზე.

1962 — თბილისში გაიხსნა მევენახეობისა და მეღვინეობის მეათე საერთაშორისო კონგრესი.

1971 — მოსკოვში დაკრძალეს ნიკიტა ხრუშჩოვი.

1993 — ისრაელმა და პალესტინამ ოსლოში სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

პენსილვანია — ჯონ ბარის დღე

როდეზია — პიონერთა დღე.

**მედიანიუსი**

## სანდრა რულოვსი ბაქოში ჰეიდარ ალიევის საფლავზე მივიდა



საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, რომელიც ბაქოში სამუშაო ვიზიტით იმყოფება, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის და მისი მეუღლის ზარიფა ალიევას საფლავზე მივიდა.

სანდრა რულოვსმა მონაწილეობა, ბაქოში დღეს დაწყებულ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის რეგიონალური ბიუროს სესიაშიც მიიღო.

**ინტერპრესნიუსი**

## კომუნიკაციების კომისიამ მობილური ტარიფების მრჩეველი შექმნა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მობილური ტარიფების მრჩეველი შექმნა.

კომისიის ინფორმაციით, მომხმარებელს საშუალება ეძლევა ზუსტად განსაზღვროს რომელი კომპანიის სატარიფო გეგმა არის მისთვის მისაღები. კალკულატორის გამოყენებით მიღებული შედეგი არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის და ითვალისწინებს მობილურ კომპანიებში მოქმედ ძირითად სატარიფო გეგმებს. მობილური ტარიფების მრჩეველი განთავსებულია Facebook-ზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ფან-გვერდზე. სერვისი 14 სექტემბრიდან კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც განთავსდება.

**ინტერპრესნიუსი**

## თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი იწყება


ეკა მაზმიშვილი

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლებლობა. ყოველი შემთხვევისთვის, სანამ მე ფესტივალზე პასუხისმგებლობა მაკისრია, ვფიქრობ, ფესტივალის პროგრამა მთლიანობაში, ისევე როგორც თვით თეატრი, დროისა და საზოგადოების სარკე უნდა იყოს, ინდივიდუალური და კოლექტიური თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სივრცე. დღეს, კულტურათა დიალოგის ეპოქაში, ყველა ფესტივალი ილტვის საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდეს. საერთაშორისო ურთიერთობები განვითარების, წინსვლის საწინდარია. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, თბილისის საერთაშორისო ფესტივალმა ისტორიული „დავალება“ უნდა შეასრულოს. ჩვენი უმთავრესი მიზანი ქართული კულტურისა და თეატრის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებაა. რადგან ეპოქის სირთულეები ვახსენეთ, მინდა აღვნიშნო, რომ ფესტივალი პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტსაც მოიცავს და, რაღა თქმა უნდა, გარკვეულწილად, გავლენასაც ახდენს. როცა საზღვრების გადალახვასა და „ცხოვრების გაუმჯობესებაზე“ ფიქრობთ, გაითვალისწინეთ, ფესტივალი პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ასპექტში რეალობაა, იმედი მაქვს — ჰარმონიული, რადგან კულტურისა და განათლების გარეშე კაცობრიობის ყოველგვარი „საქმიანობა“, უბრალოდ, აზრს კარგავს. ფესტივალი, როგორც წესი, ქალაქის კულტურულ პოტენციალს აკავშირებს და აერთიანებს და ამითი მაყურებელს, მოსახლეობას საკუთარ ქალაქზე და ქვეყანაზე ახალ პერსპექტივას უქმნის კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. გვსურს, თქვენთან ერთად აღმოვაჩინოთ ყველაფერი ახალი — თეატრალური ფორმა, ტექსტი, მსახიობი, ხელოვნების ნიმუში, მაყურებელი, ღირებულებები, აზრი. გვსურს გავარღვიოთ საზღვრები, შევიცნოთ ჯერ უცნობი კულტურები, ახალი და განსხვავებული მიდგომები ხელოვნებისა და სამყაროსადმი. ვფიქრობთ, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი კომუნიკაციის განსაკუთრებული, განსხვავებული საშუალება გახდება და სწორად ეს იქნება მისი ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება. გვინდა, რომ ფესტივალი იყოს „თავგადასავალი“ ყველა მისი მონაწილისათვის, მაყურებლისათვის! დაბოლოს, დამიჯერეთ, ფესტივალის პროგრამაც ცოცხალი ორგანიზმივითაა — იგი ყოველთვის „მოინდომებს“ უკეთესი გახდეს, — აღნიშნავს ფესტივალის დირექტორი ეკა მაზმიშვილი.

2011 წლიდან ფესტივალზე სიახლეა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გახდა ევროპული თეატრალური გაერთიანების წევრი. ფესტივალის საერთაშორისო პროგრამაში ფესტივალს დაემატა ახალი მიმართულება „ახალგაზრდული პროგრამა“, ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების, ბალტიისპირეთის ქვეყნების და საქართველოს თეატრის ახალგაზრდა მოღვაწეთა ნამუშევრების ჩვენება. თეატრალურ კავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის მხარდაჭერით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჰუმანიტარული ფონდისა და ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ატარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების, ბალტიისპირეთის ქვეყნების და საქართველოს თეატრის ახალგაზრდა მოღვაწეთა ნამუშევრების ჩვენებას, რომელთა ჩვენებაც გათვალისწინებულია 2010-2012 წლებზე. 2012 წელს გაიმართება დასკვნითი ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობისთვის ტარდება ჩვენება ყველა მონაწილე ქვეყანაში. პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ 35 წლამდე რეჟისორებს, თეატრის მხატვრებს, დრამატურგებსა და თეატრის კრიტიკოსებს.

წლევანდელმა ფესტივალმა უკვე გამოაცხადა კონკურსი მოხალისეების მიღებაზე. წელს ფესტივალზე ელოდებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დაახლოებით 500 სტუმარს, ამიტომ თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი უკვე მესამე წელია მუშაობს მოხალისეების გუნდთან ერთად. მოხალისეები ფესტივალის სამუშაო ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია როგორც საორგანიზაციო ასევე საიმიჯო კუთხით. მოხალისეების მონაწილეობას მიიღებენ როგორც მოსამზადებელ სამუშაოებში, ასევე უშუალოდ ფესტივალის მიერ დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში.

## ავიაკატასტროფისას გადარჩენილი ჰოკეისტი საავადმყოფოში გარდაიცვალა



იეროსლავის „ლოკომოტივის“ ჰოკეისტი ალექსანდრე გალიმოვი, რომელმაც იეროსლავთან მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

— 12 სექტემბრის დილას, მიუხედავად ჩატარებული თერაპიისა, რომლის დროსაც ყველა თანამედროვე მკურნალობის საშუალება გამოვიყენეთ, ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დამწვრობის ცენტრში, სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დამწვრობებისგან ალექსანდრე გალიმოვი გარდაიცვალა, — ნათქვამია დამწვრობის ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ იეროსლავში სამგზავრო თვითმფრინავმა „იაკ-42“, რომლის ბორტზეც „ლოკომოტივის“ ჰოკეის გუნდი იმყოფებოდა, 7 სექტემბერს ავიაკატასტროფა განიცადა. ავიაკატასტროფის შედეგად თითქმის მთელი გუნდი დაიღუპა.

თვითმფრინავი მინსკის მიმართულებით მიფრინავდა და აეროპორტიდან ორ კილომეტრში ჩამოვარდა. ბორტზე 45 ადამიანი იმყოფებოდა. სიკვდილს ორი ადამიანი გადაურჩა. ჰოკეისტი ალექსანდრე გალიმოვი და ბორტგამცილებელი ალექსანდრე ციზოვი. ჰოკეისტს სხეულის 90 პროცენტი ჰქონდა დამწვარი. ალექსანდრე ციზოვი კი ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

**მედიანიუსი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მუსულმანთა სასულიერო მოსამართლე; 2. საყანედ გაკაფული ტყის ზოლი; 3. სამღებრო ძველ თბილისში; 4. პატარა მდინარე; 5. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 6. ხოხობის, გნოლის, კაკაბის ბარტყი; 7. გემის სამზარეულო; 10. ფრანგული პარფიუმერული ფირმა; 11. მუსიკის, სიმღერის დიდი სიყვარული; 12. ავტოდრომი საფრანგეთში; 13. ტბა თბილისში; 16. სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი; 18. ძველი დროის დამახასიათებელი ნიშნები; 19. წყნარი, უშფოთველი ცხოვრება; 21. მთიდან დაშვებული თოვლის დიდი მასა; 24. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოლი.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 3. სხივურ-კვანტური გენერატორი; 8. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 9. ქართული ზღაპრების პერსონაჟი; 14. სოფელი სოხუმის მახლობლად; 15. კომბინაცია პრეფერანსში; 17. ემილ ზოლას რომანი; 20. მუსულმანთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 22. ზოდიაქოს ნიშანი; 23. ათდღიური; 25. პირველი ზანგი ჩოგბურთელი, რომელმაც უიმბლდონის ტურნირი მოიგო; 25. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 27. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 28. ქართველი ტელეჟურნალისტი მამაკაცი.

*შეადგინა თვოვინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის და კროსვორდის პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. კენია; 2. ელი; 3. მთა; 4. სარკე; 5. ნიამორი; 6. ერგი; 7. არარა; 8. ფრე; 9. იანუსი; 10. დერგი; 11. სამოა; 12. მიაუ; 13. ტილდა; 14. მასტიტი; 15. სკატი; 16. კამეა; 17. საბა; 18. სკეტჩი; 19. ქაბატო; 20. სან; 21. ასტაზია; 22. კლინექსი; 23. მონე; 24. მელ; 25. დეკა; 26. სოლო; 27. პაროლი; 28. სუ; 29. ვიზა; 30. აბი; 31. ლას; 32. აიეტი; 33. ბროკატი.

**სურათებზე:** კეტი ჰოლმსი; სამუელ ეტოო.

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბრამსი; 4. ათაბაგი; 7. სკალპი; 9. თაბახი; 11. ბარაკოა; 12. არამეული; 13. კატერი; 17. ქვევრი; 18. კოლი; 19. პრიმადონა; 20. პირამიდა.

**შვეულად:** 1. ბარი; 2. სვავი; 3. ტვირთი; 5. თაობა; 6. გრძნეული; 8. კვარტერონი; 10. რომანსი; 12. აპრიორი; 14. დენდრო; 15. ფინალი; 16. კვირა.

# ფავორიტებმა მძიმედ დაიწყეს

**ახალ ზელანდიაში დაიწყო მსოფლიოს თასის გათამაშება რაგბიში და სანამ საქართველოს ნაკრები საქმეში ჩაებმება, მანამდე ჩვენს ქვეჯგუფში ორი მატჩი უკვე გაიმართა.**

პირველ მატჩში ერთმანეთს შოტლანდიისა და რუმინეთის ნაკრებები დაუპირისპირდნენ და მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე პირველი სერიოზული სენსაციის სუნი დატრიალდა, თუმცა შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ოცდამეერთე წუთისთვის შოტლანდია უკვე 15:3-ს იგებდა, მაიკ ბლერისა და ჯო ენსბროს ლელოებითა და კრის პატერსონის თითო გარდასახვა-საჯარიმოს წყალობით და თითქოს საშიშიც არაფერი იყო. მალევე დუმბრავამ და პატერსონმა საჯარიმოც გაცვალეს — 18:6 შოტლანდიელთა სასარგებლოდ, ტაიმის მიწურულს კი რუმინელმა ალექსანდრუ ლაზარმა ლელო გაიტანა და ჩამორჩენა შვიდ ქულამდე შეამცირა.

შესვენების შემდეგ, პატერსონმა ჯარიმიდან ისევ გაიტანა და ანგარიში 21:11 გახადა, მერე კი მუხის ფოთლების ჯერი დადგა. ტიბერიუს დიმოფტეს ორ საჯარიმოს დანიელ კარპოს ლელო მოჰყვა და თამაშის დასრულებამდე 13 წუთით ადრე წინ უკვე რუმინეთი გაიჭრა 24:21.

პატერსონმა წონასწორობა ოთხ წუთში აღადგინა, ხოლო სქოთები სირცხვილისგან უკანახაზელმა სიმონ დანიელიმ იხსნა, რომელმაც 75-ე და 78-ე წუთებზე ორჯერ შეიტანა ბურთი მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანში და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 34:24.

ინგლისელთა და არგენტინელთა ჯახი საკმაოდ ნერვიული გამოდგა. პირველ ტაიმში ორივე გუნდის დამრტყმელებმა, მარტინ როდრიგესმა და ჯონი უილკინსონმა ბლომად ჯარიმები აფუჭეს. მიზანს მხოლოდ სამმა მათგანმა მიაღწია. აქედან ორი არგენტინელების იყო — თავი ფელიპე კონტეპომიმ და როდრიგესმა გამოიჩინეს, ხოლო ბრიტანელთაგან ჯარიმა ზუსტად უილკინსონმა დაარტყა და პუმები შესვენებაზე 3-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 6:3.

მეორე ტაიმიც სამხრეთ ამერიკელთათვის სასურველი სცენარით დაიწყო — 45-ე წუთზე როდრიგესმა მორიგი საჯარიმოთი უპირატესობა გაზარდა — 9:3. ოციოდ წუთში კი ინგლისმა ანგარიში სათავისოდ შეატრიალა — 10:9 ბენ იანგსის ლელო და უილკინსონმა ზუსტად გარდასახა. შეხვედრის დასრულებამდე ხუთიოდ წუთით ადრე კი წერტილი ისევ უილკინსონმა ისევ საჯარიმოთი დასვა — 13:9.

ამრიგად, პირველი ტურის შემდეგ ჯგუფის ლიდერი შოტლანდიაა, რომელმაც 4 ლელოს გატანით პრემიალური ქულაც მიიღო. ინგლისს ერთით ნაკლები — 4 ქულა აქვს. არგენტინელებმა 7 ქულაზე ნაკლებით წაგებისთვის აიღეს დამატებითი ქულა. რუმინეთი და საქართველო კი უქულოები არიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქართველები საქმეში ჯერ არც ჩართულან, ხოლო რუმინელებმა წაგებით დაიწყეს.

მსოფლიოს თასზე კიდევ რამდენიმე მატჩი გაიმართა: ფიჯიმ ნამიბიას 49:25 მოუგო, საფრანგეთმა იაპონიას აჯობა — 47:21, ავსტრალიელებმა იტალიელებს 32:6 მოუგეს, ირლანდიელებმა ამერიკელები 22:10 დაჯაბნეს, ხოლო ყველაზე დრამატული და საინტერესო ჯახი სამხრეთ აფრიკისა და უელსის ნაკრებებს შორის შედგა, რომელიც აფრიკელებმა 17:16 მოიგეს.




## სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს კონსერვატიული პარტია თანაგრძნობას უცხადებს მიშა ხიმშიაშვილის ოჯახს დისა და დისშვილის ნაზი ხიმშიაშვილისა და

**თეონა ზოიძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. უფალმა ნათელში ამყოფოს დედა-შვილი, რომლებიც ავტოკატასტროფას შეეწირნენ.

მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროთ ზეციურ საქართველოში, ღვთისმოსაობითა და სიკეთით გამორჩეულ ქალბატონებს.

*საქართველოს კონსერვატიული პარტიის სახელით: ზვიად ძიძიგური, ნინა გუჯაბიძე, ქეთევან აბდალაძე, მაკა სახურია*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტრომექანიკის მიმართულების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

**სოსო გვენცაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.
პანაშვიდი: სამშაბათსა და ოთხშაბათს, 16 საათზე.
დაკრძალვა: 15 სექტემბერს, 14 საათზე.
მისამართი: პეკინის 31გ, II სადარბაზო, I სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ზვიად ყუშიტაშვილი: „სამართალდამცავები ჩემი 13 წლის გოგონას გაუპატიურებით მემუქრებოდნენ“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

პირობებშიც კი არ ხდებოდა. ყუშიტაშვილი და მისი ოჯახი დღემდე არ არიან დაცულები, ნებისმიერ დროს მათ შეიძლება რაღაც შეემთხვეთ. ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი შეხვდეს ყუშიტაშვილის და პირადად მოისმინოს ის შემზარავი ისტორია, რაც ამ ადამიანმა დღეს აქ მოყვა, — განაცხადა ბათიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სასტუმრო „სიმპათიაში“ გამართულ შეხვედრაზე „ქართველი ემიგრანტების“ ლიდერმა მისი გატაცების დეტალებზე ისაუბრა.

ყუშიტაშვილის განცხადებით, მან და მისმა მეგობრებმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტები“ 2010 წელს დაარსეს. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ ის ემიგრანტები, ვინც საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული მოწოდებების შემდეგ დაბრუნდნენ.

— მიხეილ სააკაშვილი ევროპაში ყოველთვის იძახდა, რომ საქართველო უკვე შეძლებული ქვეყანა იყო და იგი ჩვენ, უცხოეთში მცხოვრებ ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისაკენ მოგვიწოდებდა. როდესაც აქ ჩამოვედით და ვნახეთ, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ამას პრეზიდენტი ამტკიცებდა, გადავწყვიტეთ არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება. გავმართეთ რამდენიმე აქცია, თუმცა უშედეგოდ. „სახალხო კრების“ ჩამოყალიბების შემდეგ ჩვენ ამ კრებას შევუერთდით, რადგან მივიჩნევდით, რომ უნდა ვმდგარიყავით იქ, სადაც ხალხი იდგა. 2011 წლის მაისის ცნობილი მოვლენების შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ ევროპის ექვს ქვეყანაში საქართველოს საელჩოსა და საკონსულოებთან გაგვემართა საპროტესტო აქციები და ევროპისთვის მოგვეყოლა თუ რა გააკეთა სააკაშვილმა 26 მაისს საქართველოში. პირველი აქცია გაიმართა თურქეთში და ამის შემდეგ დაიწყო მუქარის შემცველი ზარები მირჩევდნენ, რომ გავჩუმებულიყავი და ხმა არ ამომეღო, თუმცა მათ საბოლოოდ მიზანს ვერ მიაღწიეს და ხსენებული აქციების ჩატარება მაინც გადაწყდა. ვინაიდან, საქართველოდან უცხოეთში ზარის ისე განხორციელება, რომ არ მოგისმინონ შეუძლებელია, მე გადავწყვიტე წავსულიყავი თურქეთში და იქიდან მემართა პროცესები, სწორედ იმ დღეს, როდესაც თურქეთში მივდიოდი, გზად გავიარე „თეთრების“ ოფისში და სასტუმრო საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე შსს-ს ნიღბიანმა თანამშრომლებმა გამიტაცეს. თვალებზე ამაფარეს შავი ნაჭერი და მიმიყვანეს ერთ-ერთ შენობაში. გზაშიც და შენობაში მიყვანის შემდეგაც მაყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. შემიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც ნიღბიანები მეუბნებოდნენ, რომ ეს ჩემი ჭკუის სასწავლებელი ოპერაცია იყო, — განაცხადა „ქართველი ემიგრანტების“ ლიდერმა და დასძინა, რომ შსს-ს თანამშრომლები მისგან უცხოეთში მყოფი აქტივისტების სახელებსა და გვარებს, ასევე ტელეფონის ნომრებს მოითხოვდნენ.

— მათ მიმიყვანეს კომპიუტერთან გამახსნევინეს ჩემი ელექტრონული ფოსტა და ყველა ჩემი წერილი ასევე იქ არსებული კონტაქტები ამოიღეს. ამის შემდეგ ჩვენს უცხოელ აქტივისტებთან და „სახალხო კრების“ წევრებთან დაკავშირებით ინფორმაციას მთხოვდნენ და კითხვებს მისვამდნენ. მე ამ ინფორმაციის გაცემაზე უარი განვაცხადე და მათ დასმულ კითხვებსაც არ ვუპასუხე. შემდეგ დამემუქრნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემს 13 წლის გოგოს იქ მოიყვანდნენ და ჩემს თვალწინ გააუპატიურებდნენ, მე მათი მუქარა ჩემს შესაშინებლად ნათქვამი ტყუილი მეგონა და კითხვებზე პასუხების გაცემისაგან კვლავ თავი შევიკავე. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ერთ-ერთმა ნიღბიანმა შემომიტანა მობილური ტელეფონი და ჩემს გოგონასთან დამალაპარაკა, რის შემდეგაც მივხვდი, რომ ისინი რითაც დამემუქრნენ ყველაფერს შეასრულებდნენ და მათ კითხვებსაც ვუპასუხე. ამ პერიოდში ჩემი გოგონა სოფელ პატარძეულში დედაჩემთან იყო ცასული, შემდეგ შევიტყვე, რომ სახლში მსულან უცხო პირები, მათ თავი ჩემს მეგობრებად გაუსაღებიათ და ამ გზით დალაპარაკებიან ჩემს შვილს, — განაცხადა ყუშიტაშვილმა და დასძინა, რომ საჭირო ინფორმაციის მიღების შემდეგ მას შეხვდა შარვალ-კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი პიროვნება, რომელიც შსს-ს მაღალჩინოსნად გაეცნო.

— მითხრა, რომ იყო გიორგი ლორთქიფანიძე, მირჩია, რომ ხელისუფლების კრიტიკისათვის თავი დამენებებინა და უცხოეთში აქციების ჩატარებისაგან ხელი ამეღო, — განაცხადა „ქართველი ემიგრანტების“ ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ როგორც ჩანს მისი გატაცება ევროპის ექვს ქვეყანაში საქართველოს საელჩოებთან მათ მიერ დაგეგმილ აქციებს, უკავშირდებოდა.

— 9 სექტემბერს დაახლოებით 18:30 სათზე შსს-ს ოთხმა ნიღბიანმა თანამშრომელმა ჯიპის მარკის მანქანიდან ელბაქიძის ქუჩის დასაწყისში ჩამომაგდეს. ტაქსი დავიქირავე და სახლამდე ასე მივაღწიე. პირობას ვდებ, რომ ჩვენს მიერ დაგეგმილი აქციები ევროპის ქვეყნებში მაინც ჩატარდება და ევროპა გაიგებს, რომ საქართველოში სააკაშვილის სახით ახალი დიქტატორი დაიბადა, — განაცხადა მან.

„ქართველი ემიგრანტების“ ხელმძღვანელის მეგობრის, მოძრაობა „ივერიელების“ ლიდერ ლევან კოჭლოშვილის მტკიცებით, სამართალდამცველები ყუშიტაშვილზე თვალთვას კვლავ აგრძელებენ და დღეს მათ სასტუმრო „სიმპათიაში“ მისვლამდე მცირე ინციდენტიც შეემთხვევათ.

**მედიანიუსი**

# ბერეზოვსკი ქემერონს აფრთხილებს



ბორის ბერეზოვსკი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ ქემერონს იმის შესახებ აფრთხილებს, რომ „რუსეთის პრემიერ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრა ისტორიული მასშტაბის შეცდომაა, რომელსაც რუსეთში ახალი სისხლისღვრა მოჰყვება“.

— რუსი დისიდენტები და ემიგრანტები ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მოუწოდებენ, რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრაზე ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების კატასტროფული დარღვევის საკითხი დააყენოს, ც წერს გარდიანი.

— რაც უფრო მეტს ვისაუბრებთ სახელმწიფოს კრიმინალურ მეთაურთან, მით მეტი ადამიანი დაზარალდება საბოლოოდ და ეს იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ამ კანიბალებს ისტორიიდან არ წაშლიან, — აცხადებს გამოცემასთან საუბრისას რუსეთიდან გაქცეული ცნობილი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი.

მისივე აზრით, „ეს იმის ტოლფასია, რომ დასავლეთმა კადაფისთან დიალოგის გადაწყვეტილება მიიღოს“.

— ისტორია პასუხს ყოველთვის იძლევა: ეს ისტორიული მასშტაბის შეცდომაა, — დასძინა ბერეზოვსკიმ.

ამასთან, როგორც თჰე პუარდიან აღნიშნავს, „ქემერონთან შეხვედრით პუტინს საპრეზიდენტო არჩევნების წინ საერთაშორისო არენაზე საკუთარი რეპუტაციის რეანიმაციის იმედი აქვს“.

თავის მხრივ, რუსი მულტიმილიონერი ევგენი ჩიჩვარკინი, რომელიც 2008 წლის დეკემბერში ლონდონში გაიქცა, გამოცემასთან საუბრისას აცხადებს, რომ „ყველამ, ვინც რუსეთში ინვესტიციებს დებს, უნდა იცოდეს, რომ შესაძლოა, ფული ველარ დაიბრუნოს“.

შეგახსენებთ, რომ დღეს უმაღლეს დონეზე რუსულ-ბრიტანული მოლაპარაკებები გაიმართება. ქემერონი პირველი ბრიტანელი პრემიერია, რომელიც ბოლო 6 წლის მანძილზე რუსეთში ოფიციალური ვიზიტით ჩადის.

ქემერონთან შეხვედრას რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინიც გეგმავს.

**პირველი**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 13 სექტემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "ვერა უონგი" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.30** სათავგად. ფილმი **"დათვი სახელად ვინი"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 19.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.30** აღმოაჩინე საქართველო **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.25 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი **00.35** მხ. ფილმი **"ყასაბის ცოლი"** (გ) (დ. მური) **02.15** მოამბე **02.35** აუდიტორია **03.35** მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.30** თავისუფალი ტრიბუნა **20.30 ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **22.30** დოკ. ფილმი **01.00** მხ. ფილმი **"ჯიბის ფული"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** სერ. **"მაშველები"** **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. ჩელსი- ლევერკუზენი **23.30** შუა დღე **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ბარბი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **09.15** ან ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. **"ჰანა მონტანა"** **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** ნანუკას შოუ **01.15** მხ. ფილმი **"ოზობა"** (18) (რ. ფაინსი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (18) (ჯ. მური) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **12.50, 19.35** სერ. **"შექსპირიადა"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სახლი ბათუმში **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "სამთავროს რესტავრაცია" **10.50** დოკ. ფილმი "მაცხოვარი ლატალისა" **11.30** საქართველოს პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჩიორა"** **13.35** კონცერტი – ანჩისხატის მგალობელთა გუნდი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ლოლიტა"** **16.40** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.05** ირაო **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** 100 ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** მოკლ. ფილმი **"ბიძინა"** **01.35** კონცერტი – გორდბერგის ვარიაციები

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 სექტემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,641 |
| ევრო | 2,3815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,057 |

## ამინდის პროგნოზი 13 სექტემბრისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-26, ღამით — 19-13

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 19-15

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 2-11







# საქართველო შოტლანდიისთვის გაემზადა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ახალი ზელანდიის სამხრეთში მყოფი საკურორტო ქალაქი ქვინზთაუნი დატოვა და ინვერქარგილში გაემგზავრა, სადაც ხვალ შოტლანდიის ნაკრებს მსოფლიოს თასის გათამაშების თავის პირველ მატჩს ეთამაშება.



საქართველოს ნაკრები ინვერქარგილში, „ასკოტ პარკ ოტელში" დაბანაკდა, რომელიც ამავე სახელობის პარკში მდებარეობს. გუნდმა მგზავრობის შემდეგ დაისვენა და არ უვარჯიშია. გუშინ კი ჩვეულებისამებრ ორჯერ ივარჯიშეს „საუთლენდის ვაუთა უმაღლესი სკოლის" სპორტულ ბაზაზე.

დღეს „ბორჯღალოსნებს" კაპიტნის ვარჯიში ექნებათ „რაგბი პარკზე", სადაც მატჩი შედგება. ხვალ კი უკვე შოტლანდიელებთან ჯახია.

საქართველოს ნაკრებს ორი ტრავმირებული ჰყავდა, მათგან თედო ზიბზიბაძე გამოჯანმრთელდა და ხვალ ითამაშებს, ხოლო ვასილ კაკოვინი ვარჯიშს ხვალიდან დაიწყებს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა რიჩი დიქსონმა კი უკვე გამოაცხადა შემადგენლობა, რომლითაც საქართველოს ნაკრები სქოთების წინააღმდეგ ითამაშებს:

**ძირითადი შემადგენლობა:** 15. რევაზ გიგაური, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. სანდრო თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ვახტანგ მაისურაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია

**მარქაფა:** 16. აქვსენტი გიორგაძე, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. გიორგი ჩხაიძე, 19. ვიქტორ კოლელიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ლაშა ხმალაძე, 22. მალხაზ ურჯუკაშვილი

საქართველო–შოტლანდიის მატჩი ხვალ 11:30 წუთზე დაიწყება.

**მ. ჟ.**

# ასტროპროგნოზი 13 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, მთლიანად ნუ დახარჯავთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ვიღაც ჩამოდის, მას თქვენთვის საჩუქარი აქვს. **ლომი** — ახალი პროექტი დაგაინტერესებთ. **ქალწული** — მშვენიერი დღეა, საქმეს კარგად დაასრულებთ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, თავი გააკონტროლეთ. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ, გადაღლა ენერგიას წაგართმევთ. **თხის რქა** — წარმატება გელით, უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე. **მერწყული** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **თევზები** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 2. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 3. მე-15 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თურქეთის პარლამენტი; 8. პოლიციელის მეტსახელი აშშ-ში; 9. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 12. ქართული რადიო; 13. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი, კონიაკი, არაყი; 15. თბილისის მმართველი IX-XII საუკუნეებში.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 6. ქართული მინიატურების თეატრის ფუძემდებელი პაროდისტი, მსახიობი მამაკაცი; 7. პროფესიონალი ცხენოსანი; 10. მდინარე ვოლგის ძველი არაბული სახელწოდება; 11. სოკოების, ხავსების მიკროსკოპიული ჩანასახი გამრავლებისთვის; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 14. ჯარების მართვის ორგანო; 16. ძვირფასი ლითონი; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 18. ფიგურული სახაზავი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




# იუმორი



პლაჟზე ერთი ქალბატონი მეორეს მიმართავს:

— ამ თქვენს ჭრელ გასაბერ ლეიბს ვერ მათხოვებთ?

— რას ბრძანებთ, ეს ჩემი ქმარია...

* * *

— წარმოგიდგენია, მომთხოვა დამემტკიცებინა, რომ აქლემი არ ვარ.

— იმედია, დაუმტკიცე.

— არა, მივაფურთხე და წამოვედი...

* * *

ერთმა საშუალო დონის მსახიობმა ბერნარდ შოუს სთხოვა, რეჟისორთან სიტყვა შემაწიეო. შოუ რეჟისორს შეხვდა და ეუბნება:

— ეს ახალგაზრდა თამაშობს ჰამლეტს, რომეოს, ფერდინანდს, ფეხბურთს, ბილიარდს. უკანასკნელი ყველაზე უკეთ გამოსდის...

* * *

ერთი ტიპი ბანქოში სულ აგებს.

— ნუ ნაღვლობ, — ეუბნებიან პარტნიორები, — ბანქოში ბედი თუ არ გწყალობს, სიყვარულში გაგიმართლებს.

— მართლა? — უკვირს მას, — უკვე 40 წლისა ვარ და ჯერ ცოლი არ მომიყვანია.

— აი, ხომ ხედავ...

* * *

— თოვლის ფანტელების ენით დაჭერას სანამ დაიწყებ, დარწმუნდი, რომ ყველა ფრინველი გაფრინდა თბილ ქვეყნებში...

* * *

— მაშინაც კი, თუ შეგჭამეს, ორი გამოსავალი გრჩება...

* * *

— ვერ ვიტან ფამილარულ ადამიანებს, განსაკუთრებით თეატრში. გვერდში მუჯლუგუნს გითავაზებენ და ყურში ჩაგსისინებენ, „მორჩი ხვრინვას, მოსმენას გვიშლი..."

* * *

— სინდისი კარგი რამაა, განსაკუთრებით თუ სხვებს აქვთ...

* * *

— თუ იცით, რომ ევროპაში აზრზე არ არიან, რა არის ევრორემონტი?

**გ.თ.**

# როგორი ხართ სამსახურში

ტესტი



***1. წააწყდით განცხადებას სტრესის წინააღმდეგ ვარჯიშების შესახებ. თქვენი აზრით.***

ა. სათქვენო საქმე არ არის. ბ. დრო არ გაქვთ. გ. ეს ის არის, რაც გჭირდებათ. დ. მოგეწონებათ პირობები?

***2. სამსახურში დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ იმას, რომ ...***

ა. ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით მიდიოდეს. ბ. ყველაფერი სწორად კეთდებოდეს. გ. შეფი თქვენს შედეგებს აღნიშნავდეს. დ. თქვენი მოვალეობები კოლეგებს გაუნაწილოთ.

***3. გაიხსნა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რაც საინტერესო იქნებოდა თქვენთვის, მაგრამ ჯგუფი უკვე შევსებულია. თქვენ ცდილობთ.***

ა. ჯგუფის კონსპექტები დაითრიოთ დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის. ბ. ადგილი „გაჩარხოთ". გ. კოლეგა დაიყოლიოთ თავისი ადგილი თქვენ დაგითმოთ. დ. მომავალ ჯგუფში დაიკავოთ ადგილი.

***4. თქვენს ფირმაში წვეულება მზადდება. კოლეგები აქტიურად მონაწილეობენ. თქვენ დიდი სიამოვნებით:***

ა. იმუშავებდით სამზარეულოში. ბ. მაგიდას გააწყობდით. გ. საღამოს გაუძღვებოდით. დ. თავს აარიდებდით მზადებას.

***5. მომავალ კვირას უნდა მიიღოთ მონაწილეობა მოლაპარაკებაში მნიშვნელოვანი კონტრაქტის შესახებ. მანამდე რას გააკეთებთ?***

ა. მთელი კვირა შეეცდებით სამსახურზე არ იფიქროთ. ბ. მაქსიმუმ ინფორმაციის მიღებას შეეცდებით მოლაპარაკების საგანზე. გ. მოლაპარაკების სხვადასხვა სტრატეგიას გადასინჯავთ გონებაში. დ. დაისვენებთ.

***6. ნაცნობი კომპიუტერული პროგრამის ახალ ვერსიას იხილავ. ინსტრუქცია ძალიან რთულადაა დაწერილი. როგორ მოიქცევით.***

ა. ინსტრუქციას გვერდზე გადადებთ და მხოლოდ ნაცნობ ფუნქციებს გამოიყენებთ. ბ. დახმარების გარეშე აითვისებთ ახალ პროგრამას. გ. სხვა ინსტრუქციას მოძებნით. დ. უფრო გამოცდილ კოლეგებს ჰკითხავთ რჩევას.

## პასუხები

**პასუხების ვარიანტების რაოდენობის მიხედვით**

**ა.** მშვიდი, კორექტული ადამიანი ხართ, გიყვართ სამუშაო და კარგ შედეგებს აღწევთ. საკუთარ თავს არ იქებთ.

**ბ.** ბეჯითი და პოპულარული ხართ. ყველას მოსწონხართ იმის გამო რომ რთული პრობლემები და დავალებები არ გაშინებთ. ყოველთვის სასარგებლო ხართ როგორც შეფისთვის, ასევე თანამშრომლებისთვისაც.

**გ.** აქტიური და სრულყოფილი. მზად ხართ მაღალი მიზნების მისაღწევად და კარიერის განვითარებისათვის. თქვენი სუპერმიღწევები შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს.

**დ.** მშვიდი და მუყაითი. თქვენთვის სამუშაო მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს. მისი მთავარი დანიშნულებაა თქვენი ფინანსური უზრუნველყოფა.

**გ.თ.**